



საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი
1922 წლიდან

ალექსანდრა მამარდაშვილი

ხარისხის ინფრასტრუქტურა მშენებლობაში და მისი გავლენა შენობა- ნაგებობების საიმედოობაზე

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სადოქტორო პროგრამა მშენებლობა

შიფრი 0732

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, 0160, საქართველო

2023წ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ფაკულტეტი სამშენებლო

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით ალექსანდრა მამარდაშვილის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: ხარისხის ინფრასტრუქტურა მშენებლობაში და მისი გავლენა შენობა-ნაგებობების საიმედოობაზე და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო, ტექნოლოგიური და საბუნებისმეტყველო საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

23, თებერვალი 2023 წელი

სამეცნიერო ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები: პროფესორი მურმან ბაქრაძე

რეცენზენტი: პროფესორი გელა ყიფიანი

რეცენზენტი: ტ.მ.დ. ნოდარ ხატიაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2023 წ

ავტორი: ალექსანდრა მამარდაშვილი

დასახელება: ხარისხის ინფრასტრუქტურა მშენებლობაში და მისი

გავლენა შენობა-ნაგებობების საიმედოობაზე

სადოქტორო პროგრამა: მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მშენებლობის ინჟინერიის დოქტორი

სხდომა ჩატარდა ----, ----- 2023 წ.

ინდივიდუალური პროცენტების ან ინსტიტუტების მიერ შემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა _____

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მე- თოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე. ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ცი- ტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

ხარისხის ინფრასტრუქტურის განვითარება და საერთაშორისო დონეზე მისი აღიარება წარმოადგენს ნებისმიერი პროდუქციის თუ მომსახურების მსოფლიო ბაზარზე თავისუფალი მიმოქცევის გარანტს. სამშენებლო კომპლექსის მომსახურე საწარმოებსა და ორგანიზაციებში ტექნიკურმა და ტექნოლოგიურმა მიღწევებმა, ბაზრების დივერსიფიკაციამ, სამშენებლო სფეროში უსაფრთხოების გამკაცრებულმა პირობებმა დღის წესრიგში დააყენა ხარისხის ინფრასტრუქტურის არა მარტო განვითარება, არამედ მისი ყველა შემადგენელი ელემენტის - სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის, აკრედიტაციის, გამოცდების და ხარისხის სისტემის გამოყენებისას ექვივალენტური წესების შემოღება.

ნაშრომის ეძღვნება მენეჯმენტის თეორიისა და პრაქტიკის სრულყოფის უმნიშვნელოვანეს საკითხს, სამშენებლო ბიზნესში მოქმედი კომპანიებისთვის მოძიებულ იქნას ინფორმაცია, ხარისხის ინფრასტრუქტურის ელემენტების გამოყენებასთან დაკავშირებით, რომელიც უზრუნველყოფს მათ კონკურენტუნარიანობას და მოთხოვნილი ნორმების მიხედვით მუშაობის შესაძლებლობას: კომპანიები მიიღებენ ინფორმაციას, რა ტიპის და დონის მომსახურება შეუძლიათ შესთავაზონ საქართველოში ხარისხის ინფრასტრუქტურის ორგანოებმა.

ნაშრომში გამოკვლეულ იქნა, თუ რა დოზით და რა ფორმით იყენებენ საქართველოში არსებული სამშენებლო თუ დეველოპერული კომპანიები ხარისხის ინფრასტრუქტურის ელემენტებს. ამ მიზნით ჩატარდა: 1) უძრავი ქონების შესყიდვით დაინტერესების კვლევა, რომელმაც გვიჩვენა, რომ ქართველი მომხარებლისთვის ჯერ კიდევ უცნობია ხარისხის ინფრასტრუქტურის ელემენტების მნიშვნელობა, მაგრამ იციან, რომ სტანდარტის გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია; 2) დეველოპერული კომპანიების შერჩევითმა კვლევამ აჩვენა, რომ ათი უმსხვილესი კომპანიიდან საერთაშორისო ხარისხის მენეჯმენტის სისტემას მხოლოდ ერთი ქართული კომპანია იყენებს. რაც შეეხება სხვა კომპანიებს, მათ ხარისხის მენეჯმენტის სისტემა დანერგილი არა აქვთ, ხელმძღვანელობენ მხოლოდ შიდა სტანდარტებით, ასევე დანერგილია ხარისხის კონტროლის სისტემის ფრაგმენტები და გამოყენებულია რუსული СНИП-ები; 3) ხარისხის ინფრასტრუქტურის ელემენტების კვლევისთვის შერჩეულ იქნა სამი ლაბორატორია, ყველა გამოკითხული ლაბორატორია ძირითადად მუშაობს ГОСТ-ებით და ASTM-ებით, აქვთ ევროპული და ბრიტანული სტანდარტებიც EN-ები. რადგან უცხოური სტანდარტების დიდი ნაწილი ქართულად თარგმნილი არ არის, ლაბორატორიები თავისი რესურსით ცდილობენ მათ გადათარგმნას, ასეთი სტანდარტები უმეტესად გამოიყენება შიდა მოხმარებისთვის. ლაბორატორიებში ხარისხის კონტროლს თავად ლაბორატორია აწარმოებს.

როგორც კვლევებმა გვიჩვენა, სამშენებლო კომპანიები იყენებენ კერძო ლაბორატორიებს ხელსაწყოების დასაკალიბრებლად, ასევე, არც თუ იშვიათად, მიმართავენ მეტროლოგიის ინსტიტუტს, სადაც უკვე არსებობს გეომეტრიული გაზომვების განახლებული ლაბორატორია, სადაც გეოდეზიური გაზომვის საშუალებების (ოპტიკური და ლაზერული ნიველირები, თეოდოლიტები, ტაქომეტრები) დაკალიბრებაა შესაძლებელი და რომელიც საერთაშორისოდ გაკვლევადა. ამავდროულად ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ქვეყნის

ვალდებულებაა განვითარებული ხარისხის ინფრასტრუქტურის შექმნა და, რაც მთავარია, მისი საერთაშორისო წესებთან ჰარმონიზაცია.

საქართველოში ხარისხის ინფრასტრუქტურის განვითარების ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორი ხარისხის ინფრასტრუქტურის მნიშვნელობის არასაკმარისი ცნობადობაა, როგორც მომხარებლის, ასევე მარეგულირებელი და გადაწყვეტილებების მიმღები ორგანოების მხრიდან. მომხარებლებს სურთ გამძლე ნაგებობა, უსაფრთხოების გარანტიები და გამართული ინფრასტრუქტურა, ხოლო ამ ყველაფრის ერთად მიღება ხარისხის სტანდარტების მქონე კომპანიებისგან არის შესაძლებელი.

როგორც კვლევამ აჩვენა, მომხარებელი კერძო სექტორისადმი მეტ ნდობას იჩენს და სურს დაქირავებულმა კერძო ექპერტმა დაადასტუროს ხარისხი, ვიდრე სახელმწიფომ და თავად კომპანიამ. აქედან გამომდინარე სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ხარისხის ინფრასტრუქტურის იმ ელემენტების განვითარება, რომელიც კერძო სექტორს ეკუთვნის.

მთავრობამ ხარისხის ინფრასტრუქტურის განვითარების წახალისების მიზნით სატენდერო პირობების მომზადების დროს უპირატესობა უნდა მისცეს კომპანიებს, რომლებიც იყენებენ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემებს (საერთაშორისო ხარისხის მენეჯმენტის სისტემა), ასევე კარგი იქნება მიმართოს საერთაშორისო პრაქტიკას და სადაზღვეო კომპანიები გამოიყენოს ხარისხის ადეკვატურობის გასაკონტროლებლად, რაც ავტომატურად უსაფრთხოების მოთხოვნებსაც გულისხმობს. სავალდებულო დაზღვევის მექანიზმის შემოღება უზრუნველყოფს სადაზღვეო კომპანიების აქტიურ ჩართულობას სამშენებლო კომპანიების ინსპექტირების პროცესში, რაც დღის წესრიგში დააყენებს ნებაყოფლობითი ხარისხის სტანდარტებისა და სისტემების დანერგვის აუცილებლობას, მეტი გარანტიების მიღების მიზნით.

დღესდღეობით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დიდ ქალაქებში ბევრი ახალაშენებული საცხოვრებელი კორპუსებია, მოთხოვნა ძველ აშენებულ ბინებზე ისევ არსებობს. ეს შენობები თავის დროზე გაანგარიშებულია СНиП-ების გამოყენებით და, მართალია აკმაყოფილებენ სიმტკიცის და მდგრადობის პირობებს, მაგრამ აღარ აკმაყოფილებენ იმ პირობებს, რასაც ევროპული სტანდარტები ითხოვენ. ამიტომ დავინტერესდით, გადაგვემოწმებინა გასულ საუკუნეში აშენებული რამდენიმე შენობა ახალი მოთხოვნების გათვალისწინებით.

ჩემს მიერ საკვლევ ობიექტებად შერჩეულ იქნა გასულ საუკუნეში თბილისში აშენებული მეტროსადგურ „ავლაბრის“ზედა სადგური და ქ. თბილისში ვაჟა-ფშაველას გამზირსა და მარიჯანის ქუჩის გადაკვეთაზე მდებარე 17 სართულიანი შენობა; ორივე შენობა გადაანგარიშდა სნიპებით და ევროკოდებით.

მეტროსადგურ „ავლაბრის“ზედა სადგურის გადაანგარიშებიდან ნათლად ჩანს, რომ პროექტი ევროსტანდარტებს ვეღარ დააკმაყოფილებს, რადგან მასში არმირება განხორციელებულია ძველი საბჭოთა ნორმებით (A-I, A-II კლასის არმატურაა გამოყენებული). ამასთან შენობა გაანგარიშებული იყო 7- ბალიანი მიწისძვრის პირობით ($A=0,1$); დღესდღეობით კი, როგორც ვიცით, თბილისი შესულია 8-ბალიან მიწისძვრის ზონაში, და გაანგარიშება ხდება მიწისძვრის უგანზომილებო კოეფიციენტის $A=0,17$ მნიშვნელობისთვის. მზიდი კონსტრუქციების გაანგარიშება ჩატარდა ლიცენზირებული გამოთვლითი კომპლექსის “LIRA SAPR 2016”-ის მეშვეობით, სასრულ ელემენტთა მეთოდის

საფუძველზე. საანგარიშო მოდელი სივრცითია. გადაანგარიშებამ 8-ბალიანი სეისმური დატვირთვების გათვალისწინებით მოითხოვა არსებული კოლონების გაძლიერება, რაც გამოწვეული იყო არმატურის სიმცირით და ბეტონის დამცავი შრის დაზიანებით, რამაც გამოიწვია გაშიშვლებული არმატურის კოროზია. გადახურვის კონსოლურ ფილებში გამოყენებული იყო და A-II კლასის არმატურები, დარღვეული იყო დამცავი შრის სისქე, რის გამოც საჭირო გახდა კონსოლური ფილის დემონტაჟი. მიუხედავად იმისა, რომ გადახურვის ორმაგი სიმრუდის გარსის სიმტკიცე და მდგრადობა დამაკმაყოფილებელია, ევრონორმებით მისი საიმედოობის ხარისხი არაა დამაკმაყოფილებელია, რადგან მეტრო განეკუთვნება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილს.

რაც შეეხება მეორე შენობას, ის მდებარეობს ქ. თბილისში ვაჟა-ფშაველას გამზირსა და მარიჟანის ქუჩის გადაკვეთაზე. შენობა შედგება სამი ბლოკისგან A, B და C. ბლოკები ერთმანეთისგან გამოყოფილია შეთავსებული სეუსმური და ტემპერატურული ნაკერებით. ანგარიში შესრულებულია A ბლოკისთვის, შენობა 15 სართულიანია, ორი მიწისქვეშა სართულით. შენობის ნაწილზე, B ბლოკის მხარეს დამატებით ორი სართულია, ანუ 17 სართულია. ნორმატიული დატვირთვები სნიპ-ით და ევრიკოდით იდენტურია, ამდენად რხევის სიხშირე და პერიოდები ერთნაირია. ანგარიშის შედეგების თანახმად ევრიკოდებით შესრულებული გაანგარიშებით კოლონებში, რიგელებში და სართულშუა გადახურვის ფილებში არმირება ნაკლებია სნიპ-ით მიღებულ შედეგთან შედარებით. ასევე ევროკოდით მიღებული შენობის ჰორიზონტალური გადაადგილება ნაკლებია სნიპ-ით მიღებულ გადაადგილებაზე. შესაძლოა, ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, რამაც გადააწყვეტინა ახალ ინვესტორს ამ შენობის დემონტაჟი.

ამ მაგალითებიდან აშკარაა, რომ, თუ გვინდა ჩვენი პროექტები ახალ ევროპულ სტანდარტებს აკმაყოფილებდნენ, ევროკოდებით გაანგარიშებაზე უნდა გადავიდეთ.

Abstract

Development of quality infrastructure and its international recognition is a guarantee of free circulation of any industrial products on the world market. The process of globalization, diversification of markets, stricter security conditions put on the agenda not only the development of the quality infrastructure, but also the introduction of equivalent rules in the use of all its elements - standardization, metrology, accreditation, examinations and the quality system.

The aim of the paper is to find information for companies operating in the construction business regarding the use of quality infrastructure elements for their activities, which ensures their competitiveness and the ability to work according to the required norms: companies will receive information on what type and level of service quality infrastructure bodies can offer in Georgia.

In the paper, it was investigated in what dose and in what form the construction and development companies in Georgia use quality infrastructure elements. For this purpose, the following was conducted: 1) a study of interest in purchasing real estate, which showed us that Georgian customers still do not know the importance of quality infrastructure elements, but they know that the use of the standard is very important; 2) Research of development companies showed that international quality management system is used by only one Georgian company. As for other companies, they have not implemented a quality management system, they are guided only by internal standards, fragments of the quality control system are also implemented and Russian SNIPs are used. - have European and British EN standards. Since a large part of foreign standards are not translated into Georgian, laboratories try to translate them with their resources, such standards are mostly used for domestic use. Quality control in laboratories is carried out by the laboratory itself.

As research has shown, construction companies use private laboratories to calibrate tools, as well as refer to the Institute of Metrology, where there is already an updated laboratory of geometric measurements, through which it is possible to calibrate geodetic measuring devices: optical and laser levels, theodolites, tacheometers, and which is internationally researched. At the same time, based on the association agreement with the European Union and the agreement on free trade, the country's obligation is to create a developed quality infrastructure and, most importantly, to harmonize it with international rules.

The main obstacle to the development of quality infrastructure in Georgia is the lack of awareness of the role and importance of quality infrastructure, both on the part of the customer and the regulatory and decision-making bodies. Customers do not know what to ask for, they ask for a durable building, they like good infrastructure, a properly planned construction process, but they do not know that all this can be achieved using quality infrastructure.

As the research showed, the customer shows more trust in the private sector and wants a hired private expert to confirm the quality, rather than the state and the company itself. Therefore, the state should ensure the development of quality infrastructure elements that belong to the private sector.

In order to encourage the development of quality infrastructure, the government should encourage companies that use quality assurance systems (international quality management system) during state tenders. The introduction of the mandatory insurance mechanism ensures the active involvement of insurance companies in the inspection process of construction companies and, accordingly, the need to introduce voluntary quality standards and systems, which means more guarantees.

Today, despite the fact that there are many newly built residential buildings in the big cities of Georgia, there is still a demand for old built apartments. At the time, these buildings were calculated by means of СНиП and, although they meet the conditions of strength and stability, they no longer meet the conditions required by European standards. That's why we were interested in checking some buildings built in the last century with new requirements in mind.

The upper station of "Avlabri" metro station built in Tbilisi in the last century and St. 17-storey building located at the intersection of Vazha-Pshavela Avenue and Marizhani Street in Tbilisi; Both buildings were recalculated with snips and Eurocodes. From the recalculation of the upper station of "Avlabri" metro station, it is clear that the project will no longer meet the European standards, because it is reinforced according to the old Soviet norms (A-I, A-II class reinforcement is used). In addition, the building was calculated under the condition of a 7-point earthquake ($A=0.1$); Today, as we know, Tbilisi is in the 8-point earthquake zone, and the calculation is made for the dimensionless earthquake coefficient $A=0.17$. The calculation of load-bearing structures was carried out through the licensed computing complex "LIRA SAPR 2016" based on the finite element method. The reporting model is spatial. The recalculation considering the 8-point seismic loads required strengthening of the existing columns, which was caused by

insufficient reinforcement and damage to the concrete protective layer, which caused corrosion of the exposed reinforcement. Reinforcements of class A-II were used in the roof cantilever slabs, the thickness of the protective layer was violated, which made it necessary to dismantle the cantilever slab. Although the strength and stability of the double-curvature roof shell is satisfactory, its reliability level according to Euronorms is unsatisfactory, because the metro belongs to the place of public gathering. As for the second building, it is located in St. At the intersection of Vazha-Pshavela Avenue and Marizhani Street in Tbilisi. The building consists of three blocks A, B and C. The blocks are separated from each other by combined seismic and temperature seams. The report is done for Block A, the building is 15 storeys high with two underground floors. On the part of the building, on the side of block B, there are two additional floors, that is, there are 17 floors. Normative loads with Snip and Eurycode are identical, so the oscillation frequency and periods are the same. According to the results of the report, the reinforcement in the columns, beams and slabs of the inter-floor roof with the calculation made by Eurcodes is less compared to the result obtained by Snip. Also, the horizontal displacement of the building obtained by Eurocode is less than the displacement obtained by Snip. Perhaps this is one of the reasons why the new investor decided to dismantle this building. From these examples, it is clear that if we want our projects to meet the new European standards, we should move to Eurocode calculation.

შინაარსი

შინაარსი	10
შესავალი	14
1 ლიტერატურის მიმოხილვა.....	16
1.1 ხარისხის ინფრასტრუქტურა საქართველოში	19
1.2 ხარისხის მართვის სისტემა მშენებლობაში.....	29
1.3 სამშენებლო პროდუქტის ხარისხის შეფასების მაჩვენებლები	39
2 ძირითადი ნაწილი	43
2.1 ხარისხის ინფრასტრუქტურის გავლენა შენობა-ნაგებობების საიმედო მუშაობაზე 43	
2.2 სამშენებლო კომპანიების კვლევა.....	81
2.3 ხარისხის ინფრასტრუქტურის ელემენტების კვლევა	83
2.4 მომხმარებელთა კვლევა.....	87
3 ჩატარებული კვლევის შედეგები და მათი განსჯა	99
დასკვნები და რეკომენდაციები.....	103
ციტირებული ლიტერატურის ნუსხა	106
დანართები.....	109
დანართი N1.....	109
დანართი N2.....	112
ტერმინთა განმარტება	133

ცხრილების ნუსხა

ცხრილი 1 ელემენტების კვეთები	65
ცხრილი 2 პარამეტრები	65
ცხრილი 3 დატვირთვები	66
ცხრილი 4 დატვირთვების კომბინაციები სნიპ-ით	66
ცხრილი 5 დატვირთვების კომბინაციები ევროკოდით	67
ცხრილი 6 სეისმური დატვირთვები სნიპ-ით	67
ცხრილი 7 სეისმური დატვირთვები ევრიკოდი 8	68
ცხრილი 8 არმატურის გაანგარიშების პარამეტრები სნიპ.....	71
ცხრილი 9 არმატურის გაანგარიშების პარამეტრები ევროკოდი 2	73
ცხრილი 10 საკუთარი რხევების პერიოდები სნიპ	79
ცხრილი 11 საკუთარი რხევების პერიოდები ევროკოდი.....	80

ნახაზების ნუსხა

ნახაზი 1 ოჯახის წევრთა საშუალო რაოდენობა	17
ნახაზი 2 ოთახების რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე.....	17
ნახაზი 3.....	45
ნახაზი 4 მეტრო „ავლაბრის“ ზედა სადგურის გადახურვის კონსტრუქცია კონსოლით	47
ნახაზი 5 მეტრო „ავლაბრის“ ზედა სადგურის გადახურვის კონსტრუქცია კონსოლის გარეშე	48
ნახაზი 6 დეფორმაციული სქემა (გადახრა სტატიკური დატვირთვისგან, “კრენი”).....	52
ნახაზი 7 დეფორმაციული სქემა სეისმური ზემოქმედებისგან (გადახრა X ღერძის გასწვრივ, მმ).....	53
ნახაზი 8 დეფორმაციული სქემა სეისმური ზემოქმედებისგან (გადახრა Y ღერძის გასწვრივ, მმ).....	53
ნახაზი 9 დეფორმაციული სქემა სეისმური ზემოქმედებისგან (გადახრა Z ღერძის გასწვრივ, მმ).....	54
ნახაზი 10 სახურავის კონსტრუქციის დეფორმაციული სქემა (ჩაღუნვა, მმ) მუდმივი დატვირთვებისგან.....	54
ნახაზი 11 სახურავის კონსტრუქციის დეფორმაციული სქემა (ჩაღუნვა, მმ) დროებითი დატვირთვებისგან.....	55
ნახაზი 12 დეფორმაციული სქემა (გადახრა სტატიკური დატვირთვისგან, “კრენი”).....	56
ნახაზი 13 დეფორმაციული სქემა სეისმური ზემოქმედებისგან (გადახრა X ღერძის გასწვრივ, მმ).....	56
ნახაზი 14 დეფორმაციული სქემა სეისმური ზემოქმედებისგან (გადახრა Y ღერძის გასწვრივ, მმ).....	57
ნახაზი 15 დეფორმაციული სქემა სეისმური ზემოქმედებისგან Z ღერძის გასწვრივ, მმ) ...	57
ნახაზი 16 სახურავის კონსტრუქციის დეფორმაციული სქემა (ჩაღუნვა, მმ) მუდმივი დატვირთვებისგან.....	58
ნახაზი 17 სახურავის კონსტრუქციის დეფორმაციული სქემა (ჩაღუნვა, მმ) დროებითი დატვირთვებისგან.....	58
ნახაზი 18 17 სართულიანი შენობის საანგარიშო მოდელი	59
ნახაზი 19 საანგარიშო მოდელი.....	62
ნახაზი 20 საძირკვლები, კონსტრუქციების განლაგება.....	63
ნახაზი 21 +17-დონეზე კონსტრუქციების განლაგება.....	63
ნახაზი 22 საანგარიშო მოდელი-ვიზუალიზაცია	64
ნახაზი 23 დინამიკურობის კოეფიციენტი სნიპ	68
ნახაზი 24 დინამიკურობის კოეფიციენტი ევროკოდი.....	69
ნახაზი 25 არმატურა სვეტებში, %. მაქს=3.36%.....	73
ნახაზი 26 არმატურა სვეტებში, %. მაქს=3.45%.....	74
ნახაზი 27 +10.4. არმატურა სვეტებში, %. (სნიპ).....	74
ნახაზი 28 +10.4. არმატურა სვეტებში, %. (ევროკოდი).....	75
ნახაზი 29 +10.4. არმატურა სვეტებში, სმ2 (სნიპ)	75

ნახაზი 30+10.4. არმატურა სვეტებში, სმ2. (ევროკოდი)	76
ნახაზი 31 +17.0 ქვედა არმატურა რუგელებში, სმ2 (სნიპ)	76
ნახაზი 32 +17.0 ქვედა არმატურა რუგელებში, სმ2 (ევროკოდი)	77
ნახაზი 33 +17.0 არმატურა ფილაში, სმ2/მ. ქვედა ღეროები, X მიმართულება (სნიპ).....	77
ნახაზი 34 +17.0 არმატურა ფილაში, სმ2/მ. ქვედა ღეროები, X მიმართულება (ევროკოდი)	78
ნახაზი 35 +17.0 არმატურა ფილაში, სმ2/მ. ზედა ღეროები, X მიმართულება (სნიპ)	78
ნახაზი 36 +17.0 არმატურა ფილაში, სმ2/მ. ზედა ღეროები, X მიმართულება (ევროკოდი)	79
ნახაზი 37 სეისმური გადაადგილებები #3, 2 ფორმა, X, mm. მაქს= $108/0.35/1.5=205$ მმ (სნიპ)	80
ნახაზი 38 სეისმური გადაადგილებები #3, 2 ფორმა. X, mm. მაქს= $45.1*4=180$ მმ (ევროკოდი)	81
ნახაზი 39 მომხმარებელთა კვლევის გრაფიკები	87
ნახაზი 40 (რას ნიშნავს მომხმარებლისთვის ხარიხსი)	89
ნახაზი 41 სტატისტიკური მონაცემები 1 და 2 ჰიპოთეზისთვის.....	89
ნახაზი 42 ჰიპოთეზა N1	90
ნახაზი 43 ჰიპოთეზა N2	91
ნახაზი 44 სტატისტიკური მონაცემები 3, 4, 5, 6, 7, ჰიპოთეზისთვის	92
ნახაზი 45 ჰიპოთეზა 3, 4, 5, 6, 7	93
ნახაზი 46 ჰიპოთეზა 8.....	95
ნახაზი 47 ჰიპოთეზა 9.....	96

შესავალი

XXI საუკუნის მსოფლიოში ტექნოლოგიურმა პროცესებმა ნახტომისებური პროგრესი განიცადა, მოიცვა მისი ყველა დარგი და განვითარების ახალ ეტაპზე აიყვანა. ეს პროცესი ყველაზე მეტად თვალსაჩინოა სამშენებლო სფეროში.

თემის აქტუალობა: გლობალიზაციის პროცესმა, სამშენებლო კომპლექსის მომსახურე საწარმოებსა და ორგანიზაციებში ტექნიკურმა და ტექნოლოგიურმა მიღწევებმა, ბაზრების დივერსიფიკაციამ, სამშენებლო სფეროში უსაფრთხოების გამკაცრებულმა პირობებმა დღის წესრიგში დააყენა ხარისხის ინფრასტრუქტურის არა მარტო განვითარება, არამედ მისი ყველა შემადგენელი ელემენტის-სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის, აკრედიტაციის, გამოცდების და ხარისხის სისტემის გამოყენებისას, ექვივალენტური წესების შემოღება. თავისუფალმა საბაზრო სივრცემ მსოფლიოს ბევრი ბენეფიტი მოუტანა - კონკურენტული გარემო სამშენებლო კომპანიებს აიძულებს მომხმარებლებს შესთავაზონ მაღალი ხარისხის პროდუქტი თუ მომსახურება. ისინი ცდილობენ შექმნან ისეთი ღირებულებები, რომელსაც გაიზიარებენ მომხმარებლებიც, რაც შეუქცევადს გახდის მათი წარმატების გარანტიას. სწორედ ასეთ მაღალი დონის ღირებულებებზეა დაფუძნებული მიმდინარე ეტაპზე მრავალი დიდი და ცნობილი საერთაშორისო სამშენებლო კომპანია. ამასთან, აღნიშნული ღირებულებების შექმნა-დახვეწამდე, სანამ ახალი პროექტი აღქმადი გახდება მომავალი მომხმარებლებისათვის, მანამდე ის სამშენებლო, თუ საპროექტო კომპანიებში გადის უამრავ პროცესს, ხოლო ამ პროცესების გამართულობა ან გაუმართავობა განსაზღვრავს რამდენად ფასეული გახდება სამშენებლო პროდუქტი მყიდველისთვის. შესაბამისად, თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით მომზადებული პროექტების განხორციელების პროცესში კომპანიებისთვის მნიშვნელოვანია არსებობდეს ისეთი ინსტრუმენტი, რომლის დახმარებითაც ახალ პროექტებზე მუშაობისას შეძლებენ ხარისხის კონტროლს და გაუმჯობესებას.

დისერტაციის მიზანია სამშენებლო ბიზნესში მოქმედი კომპანიებისთვის მოძიებულ იქნას ინფორმაცია, ხარისხის ინფრასტრუქტურის ელემენტების გამოყენებასთან დაკავშირებით, რომელიც უზრუნველყოფს მათ კონკურენტუნარიანობას და მოთხოვნილი ნორმების მიხედვით მუშაობის

შესაძლებლობას. გამოკვლეულ იქნას ხარისხის ინფრასტრუქტურის გავლენა შენობა-ნაგებობების საიმედო მუშაობაზე. ასევე კომპანიები მიიღებენ ინფორმაციას, რა ტიპის და დონის მომსახურეობას მიიღებენ საქართველოში ხარისხის ინფრასტრუქტურის ორგანოებისაგან.

მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს სამშენებლო სივრცის კვლევა თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს შენობა-ნაგებობებისა და მისი კონსტრუქციული ელემენტების საიმედოობას მისი დაპროექტების, მშენებლობის და ექსპლუატაციის ყველა ეტაპზე, ხარისხის კონტროლის ამალგებისა და გამუჯობებისთვის.

პრაქტიკული მნიშვნელობა. ევროკავშირისკენ სვლამ დღის წესრიგში დააყენა მარეგულირებელი სისტემის ჰარმონიზაციის საკითხი, რაც გულისხმობს ევროპული და საერთაშორისო სტანდარტებისა და სამშენებლო პრაქტიკაში მიღებული ნორმების გამოყენებით, მოქმედი ხარისხის ინფრასტრუქტურის შექმნას, რომლის ურთიერთაღიარება იქნება ტექნიკური ბარიერების გარეშე თავისუფალი ვაჭრობის საფუძველი.

საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისი ხარისხის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება უნდა იქცეს ქართულ სამშენებლო სივრცეში კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნის ძირითად წინაპირობად. რომელიც დაადასტურებს მთლიანად შენობა-ნაგებობის და მისი ცალკეული კონსტრუქციული ელემენტის საიმედო მუშაობას შორის კავშირს, რაც ამასთანავე გახდება ჩემს მიერ შემოთავაზებული ხარისხის კონტროლის მეთოდის აღიარების წინაპირობა.

ნაშრომის აპრობაცია და გამოქვეყნებული პუბლიკაციები: ნაშრომში ფორმულირებული ძირითადი დებულებები და კვლევის მასალები ასახულია 4 სამეცნიერო სტატიაში, კვლევის ძირითადი შედეგები მოხსენებულ იქნა სტუდენტთა ორ - 84-ე და 86-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე.

1 ლიტერატურის მიმოხილვა

სახელმწიფო, ბიზნესების ხელშეწყობის მიზნით, ხელს უწყობს სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, გამოცდების და ხარისხის შეფასების ნებაყოფლობითი სისტემის ჩამოყალიბებას, რომელსაც ის იყენებს მისი ძირითადი ფუნქციის განსახორციელებლად, რაც გულისხმობს ტექნიკური რეგულაციების საფუძველზე, ჯანმრთელობის, სიცოცხლის, გარემოს და საკუთრების დაცვის უზრუნველყოფას პროექტის განხორციელების ყველა სტადიაზე.

საქართველოში სამშენებლო ბიზნესი განსაკუთრებით ბოლო ათი წლის განმავლობაში, აქტიურად იწყებს განვითარებას. ეს არის სფერო, რომელიც მნიშვნელოვანია როგორც კერძო სექტორისთვის (ბანკები-იპოთეკური სესხები, რომელიც ბანკის გრძელვადიან პერსპექტივებს განსაზღვრავს), ასევე სახელმწიფოსთვის (საქართველოში მომუშავე დიდი დეველოპერული კომპანიები, ხელს უწყობენ ქვეყანაში FDI (Foreign Direct Investment) შემოდინებას, რაც დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე ქვეყნისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია^{1,2,3}.


ქვეყნისთვის უძრავი ქონების ბაზარი მიმზიდველი საინვესტიციო ინსტრუმენტია. ევროპის დიდი ქალაქების უძრავი ქონების ბაზრის ანალიზი გვიჩვენებს, რომ თბილისი გამოირჩევა საცხოვრებელ ფართებზე ერთ-ერთი ყველაზე დაბალი ფასით და ეკონომიკის სხვა დარგებში განთავსებულ ინვესტიციებთან შედარებით, კაპიტალუკუების მაღალი მაჩვენებლებით, ეს ქმნის საკმაოდ მიმზიდველ გარემოს უძრავ ქონებაში ინვესტირებისათვის. ამიტომ გრძელვადიან პერიოდში თბილისში საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზარზე მოთხოვნა გაიზრდება.

¹ (ხარისხის ინფრასტრუქტურა სამშენებლო ბიზნესში; მამარდაშვილი ა., 2015)


² (ხარისხის ინფრასტრუქტურის გამოყენება და მნიშვნელობა სამშენებლო ბიზნესში; მამარდაშვილი, ხარისხის ინფრასტრუქტურის გამოყენება და მნიშვნელობა სამშენებლო ბიზნესში, 2016 წლის 17 ივნისი)

³ (ხარისხის ინფრასტრუქტურა სამშენებლო ბიზნესში; მამარდაშვილი, ხარისხის ინფრასტრუქტურა სამშენებლო ბიზნესში, 2019)

უძრავ ქონებაზე მოთხოვნის ზრდას განაპირობებს ოჯახის წევრთა საშუალო რაოდენობის საკმაოდ მაღალი და ერთ სულ მოსახლეზე ოთახების რაოდენობის დაბალი მაჩვენებელი (ნახაზი 1⁴,2⁵).



ნახაზი 1 ოჯახის წევრთა საშუალო რაოდენობა



ნახაზი 2 ოთახების რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე

მოცემული თემის შერჩევა მოხდა, არსებული რეალობიდან გამომდინარე. მიუხედავად იმისა, რომ მშენებლობა საქართველოში ვითარდება, მომხმარებელს მაინც უჩნდება კითხვა, იყიდოს თუ არა მშენებარე ბინა, დასრულდება თუ არა მშენებლობა დეველოპერის მიერ დადგენილ ვადებში, რამდენად მდგრადი და მტკიცეა ნაგებობა, რამდენად სწორად არის შესრულებული დაგეგმარება, არის თუ არა გათვალისწინებული სეისმურად აქტიური ზონები (საქართველო, კერძოდ თბილისი 8-ბალიან სეისმურად აქტიურ ზონაში მდებარეობს) და ა.შ.

დეველოპერული კომპანია ამოწმებს, დეკლარირებული და შესრულებული სამუშაოს ადეკვატურობას, ამოწმებს შესრულებული სამუშაოს და გამოყენებული

⁴ (These Are The Countries With The Largest Household Size, 2020, 19 Feb. 2020)

⁵ (Statista Research Department, 2022)

მასალის ხარისხს, ასევე უსაფრთხოების პირობებს და გარემოზე ზემოქმედების მახასიათებლებს. რამდენად სანდოა შემოწმების ხარისხი, მაშინ როდესაც მშენებლის სულ მცირე უზუსტობას შეიძლება ათასობით ადამიანის სიცოცხლე ემსხვრპლოს.

შენობა-ნაგებობების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით დაგეგმვა და მშენებლობა, პირველ რიგში ნიშნავს ადამიანთა უსაფრთხოებას, ასევე ის იძლევა კონკურენტულ უპირატესობას, რომელიც უნდა გახდეს დღეს ბაზარზე მოქმედი დეველოპერებისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობა - მოგების ზრდა ხარისხის ზრდასთან ერთად:

W. Edwards Deming - "ხარჯები მცირდება და პროდუქტიულობა მატულობს, თუ ხარისხი უმჯობესდება დიზაინისა და წარმოების უკეთესი მართვის შედეგად. უკეთესი ხარისხი უფრო დაბალ ფასად მოიპოვებს ბაზარს. ხარჯების შემცირება ხარისხის გაუმჯობესების გარეშე შეცდომაა."^{6,7}

ხარისხს აქვს ორი განზომილება - "ხარისხი, რომელიც უნდა არსებობდეს" და "ხარისხი, რომელიც მიმზიდველია". პირველ შემთხვევაში მნიშვნელოვანია საერთაშორისო სტანდარტების დაკმაყოფილება, ხოლო მეორე შემთხვევაში - მომხმარებელთა სავარაუდო, ჯერ კიდევ მათ მიერ გაუცნობიერებელი სურვილებისა და საჭიროებების გათვალისწინება⁸. ამ შემთხვევაში ასეთი განმარტებაც შეიძლება გამოვიყენოთ: პროდუქტი და/ან სერვისი, რომელიც შეესაბამება და აჭარბებს მომხმარებლის მოლოდინს.

ნაშრომის მიზანია, გამოკვლევულ იქნას ხარისხის ინფრასტრუქტურის გავლენა შენობა-ნაგებობების საიმედო მუშაობაზე. სამშენებლო ბიზნესში მოქმედი კომპანიებისთვის მოძიებულ იქნას ინფორმაცია, ხარისხის ინფრასტრუქტურის ელემენტების გამოყენებასთან დაკავშირებით, რომელიც უზრუნველყოფს მათ კონკურენტუნარიანობას და მოთხოვნილი ნორმების მიხედვით მუშაობის შესაძლებლობას: კომპანიების მიიღებენ ინფორმაციას რა დადებითი გავლენა აქვს ხარისხის სისტემის დანერგვას შენობა ნაგებობების საიმედოდ მუშაობაზე

⁶ (ხარისხის უზრუნველყოფის შიდა ინსტიტუციური მექანიზმები გზამკვლევი, 2009, გვ. 3-4)

⁷ (Out of the Crisis, reissue; Deming, 2018)

⁸ (როგორ ეხმარება სტანდარტები მომხმარებლებს; სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია)

ხარჯების ოპტიმიზაციის პარალელურად. რა ტიპის და დონის მომსახურეობას მიიღებენ საქართველოში ხარისხის ინფრასტრუქტურის ორგანოებისაგან.

ხარისხის ინფრასტრუქტურის ორგანოები მიიღებენ, რეკონფორმაციის სახით, თუ რა ტიპის მომსახურეობა სჭირდება მოცემულ ბიზნესში მოქმედ კომპანიებს და ხარისხის რომელი ელემენტების განვითარებაა საჭირო.

სამშენებლო კომპანიების მომხმარებელი მიიღებს ინფორმაციას, როგორ უნდა აშენდეს საცხოვრებელი სახლი, და დასვამს კითხვას: „როგორ შენდება?“ და არა „აშენდება თუ არა?“. ნაშრომის მიზანია მომხმარებელში გაცნობიერების დონის ამაღლება, რაც გაამარტივებს პროდუქციის შერჩევის პროცესს და ასევე შექმნის წარმოდგენას შემოწმებული ხარისხის სანდოობზე.

1.1 ხარისხის ინფრასტრუქტურა საქართველოში

საქართველოში მშენებლობის ხარისხის შემოწმება რთული პროცესია. მოწმდება სამშენებლო მასალის მახასიათებლები, მაგალითად, არმატურის სიმტკიცე, ცემენტის მარკა; თუმცა, არის თუ არა შემოწმებული ხარისხი სანდო, არის თუ არა სამშენებლო მასალის შემოწმების შედეგი მისი სტანდარტის ადეკვატური? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა დღესდღეობით რთულია, რადგან საქართველოში მოქმედი ხარისხის ინფრასტრუქტურის ელემენტების ექვივალენტურობა საერთაშორისო წესებთან დგას კითხვის ნიშნის ქვეშ.

რამდენად მნიშვნელოვანია ხარისხის ინფრასტრუქტურის არსებობა ამ სფეროში.

ხარისხის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს მომხმარებელთა უსაფრთხოების და გარემოს დაცვას, ასევე საერთაშორისო და შიდა ბაზრებზე პროდუქციის კონკურენტუნარიანობას⁹.

ზემოთ აღნიშნულის გარდა, ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის განვითარება საქართველოსთვის მნიშვნელოვანია, რადგან მშენებლობის სფერო

⁹ (An Investigation into Quality Concerns in House Construction in Government-subsidised low –income Housing projects in the Pietermaritzburg Area; Poulter & Milne, 2006)

სულ უფრო და უფრო ვითარდება, ბაზარზე ბევრი კომპანიის შემოსვლით დღის წესრიგში დგება მშენებლობის ხარჯების შემცირების პროცესი, რასაც ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის არსებობა კიდევ უფრო შეუწყობს ხელს. ასევე საქართველო გახდა ევროკავშირის ასოცირებული წევრი და ხარისხის ინფრასტრუქტურის ელემენტების შესაბამისობა ევროპის სტანდარტებთან აუცილებელ პირობად დგება.

2005 წლის მონაცემებით საქართველოში არ ფუნქციონირებს ხარისხის ინფრასტრუქტურა, რომელიც პასუხობს WTO-სა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაწესებულ ნორმებსა და წესებს. ფუნქციონირებს საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილი ცალკეული ლაბორატორიები და ორგანიზაციები, რომლებიც ფორმალურად აკმაყოფილებენ ხარისხის ინფრასტრუქტურის მოთხოვნებს.¹⁰

სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის სისტემის რეფორმის განხორციელებამდე, 2005 წელს, სამრეწველო საქონლის ბაზარზე ზედამხედველობა ხორციელდებოდა სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტის – “საქსტანდარტის” მიერ. სერტიფიკაცია სავალდებულო იყო და სტანდარტები სახელმწიფოს მიერ იყო მიღებული (სახელმწიფო სტანდარტები – ГОСТ-ები), რომელთა მოთხოვნები ასევე სავალდებულო იყო. ტექნიკური რეგლამენტების, როგორც ადამიანის ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და საკუთრების დაცვისკენ მიმართული ნორმატიული აქტების, ცალკეული და კონკრეტული განმარტებები არ არსებობდა. სტანდარტიზაცია, აკრედიტაცია და სერტიფიკაცია გაერთიანებული იყო ერთი სახელმწიფო ორგანოს კომპეტენციაში, რაც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის პრინციპების შესაბამისად წარმოადგენდა აშკარა და ბუნებრივ ინტერესთა კონფლიქტს.

უფრო ადრე, 2002 წელს, ჩამოყალიბდა შესაბამისობის შეფასების სისტემის რეფორმის განხორციელების სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებდა ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების მოხსნასა და სავალდებულო სტანდარტიზაციიდან

¹⁰ (Инфраструктура в области метрологии, стандартизации, испытаний, обеспечения качества (МСИК) в Грузии, გვ. 5; Проф. д-р Алеко Мирианшвили)

ნებაყოფ-ლობითზე გადასვლას.

2005 წელს განხორციელებული რეფორმის შედეგად ის ინსტიტუტები, რომლებიც ახორციელებდნენ სტანდარტიზაციასა და სერტიფიკაციას, გაიყო და ორივე პროცედურა ნებაყოფლობითი გახდა. სავალდებულო მოთხოვნა ადამიანის ჯანმრთელობის, სიცოცხლის, საკუთრებისა და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად მოცემული უნდა იყოს ტექნიკურ რეგლამენტში და არა სტანდარტში. სტანდარტიზაცია და აკრედიტაცია ინსტიტუციონალურად განცალკევებულია და წარმოდგენილია ორი ავტონომიური სახელმწიფო სააგენტოს: სსიპ _ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო _ აკრედიტაციის ცენტრისა (GAC ან “აკრედიტაციის ცენტრი“) და სსიპ _ საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს (GEOSTM) სახით. საქართველოში ხარისხის შემოწმება ხორციელდება აკრედიტებული შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების მიერ. აკრედიტაცია ძირითადად ხორციელდება საერთაშორისო და ევროპული სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპებზე დაყრდნობით. მოცემული დოკუმენტის შემუშავების მოსამზადებელი პროცესის ნაწილი იყო შესაბამისობის შეფასების სისტემის რეფორმის 2002 წლის სტრატეგიის ანალიზი. “საქართველოში შესაბამისობის დადასტურების სისტემის დანერგვის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ” სახელმწიფო მინისტრის 2002 წლის №75 ბრძანების შესაბამისად, განისაზღვრა სტანდარტიზაციის, აკრედიტაციისა და შესაბამისობის შეფასების სფეროს რეფორმის ის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები, რომელთა დაცვა საჭიროა რეკომენდაციების განსახორციელებლად და ეროვნული სისტემის WTO-ს წესებთან შესაბამისობაში მოსაყვანად. ანალიზის

შედეგად გაირკვა, რომ¹¹:

- 2002 წლის სტრატეგიის ძირითადი პრინციპები უკვე განხორციელებულია.

¹¹ (სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის სფეროში საქართველოს მთავრობის სტრატეგია, 2010)

- საქართველომ მნიშვნელოვანი პროგრესი აჩვენა შესაბამისობის შეფასების, ასევე სტანდარტიზაციისა და აკრედიტაციის სფეროების განცალკევების მიმართულებით:

– საქართველოს მთავრობის 2006 წლის №45 დადგენილებით გამოსაყენებლად აღიარებულ და დაშვებულ იქნა საქართველოს ტერიტორიაზე ევროკავშირის 25 ქვეყნის, ისრაელისა და OECD-ის 10 ქვეყნის (ავსტრალია, კანადა, იაპონია, ისლანდია, სამხრეთ კორეა, მექსიკა, ახალი ზელანდია, აშშ, შვეიცარია, ნორვეგია) ტექნიკური რეგლამენტები, მათ შორის, ევროკავშირის ახალი და შესაბამისობის შეფასება მიდგომის დირექტივები¹²;

–სამრეწველო საქონლის ბაზარზე ზედამხედველობა ხორციელდება ტექნიკური და სამშენებლო ინსპექციის მიერ. ამ ეტაპზე კანონმდებლობაში ჯერ კიდევ არსებობს ხარვეზები და სამრეწველო საქონლის სრული ბაზარი არ არის მოქცემული შესაბამისი ნორმატიული ბაზის ქვეშ;

–2010 წლის აპრილიდან საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციისა და არქიტექტურისა და მშენებლობის ინსპექციის ბაზაზე შეიქმნა ტექნიკური და სამშენებლო ინსპექცია. ინსტიტუციონალური რეფორმის მიზანია, შექმნას ფუნდამენტური ბაზა ბაზარზე ზედამხედველობის ეფექტიანი ორგანოს ჩამოსაყალიბებლად, რომელიც ეტაპობრივად შეიძენს საკმარის უფლებამოსილებასა და ადმინისტრაციულ რესურსს ბაზარზე სხვა პროდუქციის ეფექტიანი ზედამხედველობისთვისაც;

სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის სტრატეგიის მიზანს წარმოადგენს TBT-ს გაუქმებისათვის მტკიცე საფუძვლის შექმნა, ტექნიკური რეგლამენტებისა და ხარისხის ინფრასტრუქტურის თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბება, ასევე ადამიანთა ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და გარემოს დაცვისათვის შესაბამისი დონის უზრუნველყოფა. ამასთანავე ის ასახავს ევროკომისიის მოსაზრებებს და დაკვირვებებს საქართველოს მზადყოფნასთან დაკავშირებით, აწარმოოს მოლაპარაკებები ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი

¹² (საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და მოქმედების წესის შესახებ; საქართველოს მთავრობის, 2006)

ვაჭრობის შეთანხმების (DCFTA) ფარგლებში. ევროკომისიის გენერალურმა დირექტორატმა წარმოადგინა რეკომენდაციები ევროკავშირის DCFTA-ის თაობაზე სამომავლო მოლაპარაკებების გამართვის შესახებ, თუმცა ევრო კომისიამ სრული სტრატეგიის დოკუმენტის წარმოდგენა მოითხოვა. მოგვიანებით საქართველოს მთავრობამ საწყის ეტაპზე არჩია სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის სფეროს სტრატეგიის (შემდგომში – სტრატეგია) სახელმძღვანელო დოკუმენტად გამოყენება, რაც მიზნად ისახავს მასში მოცემული პრიორიტეტების ეფექტიანად და სრულყოფილად შესრულებას. სტრატეგია მოიცავს ხუთ ძირითად და ცამეტ სახელმძღვანელო პრინციპს. დოკუმენტში ასევე მოცემულია შემდეგ კატეგორიებთან დაკავშირებული სახელმძღვანელო პრინციპები, გამოწვევები, მიზნები, მეთოდები და სტატუსი:

ტექნიკური რეგულირება – განსაზღვრულია ტექნიკური რეგულირების პროცედურული საკითხები საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად; გათვალისწინებულია კანონმდებლობის მიღება, რომლის მიხედვითაც დადგინდება ტექნიკური რეგლამენტების განსაზღვრებები, გავრცელების სფერო და სამართლებრივი ძალა; ტექნიკური რეგლამენტების შექმნაზე პასუხისმგებელი კომპეტენტური სამთავრობო სტრუქტურისადმი უფლებამოსილების მინიჭება; სხვა სახელმწიფოების ტექნიკური რეგლამენტების (ცალმხრივად) ცნობის პროცედურების შექმნა.

ხარისხის ინფრასტრუქტურა – მოცემულია ხედვა და ის ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს ხარისხის ინფრასტრუქტურის ორგანოების ინსტიტუციონალურ გაძლიერებას, რაც შესაძლებელია შესაბამისი სექტორული კომიტეტების შექმნის გზით.

საერთაშორისო ორგანიზაციებთან ინტეგრაცია – მოიცავს ძირითად გასატარებელ ღონისძიებებს, რათა მოხდეს საქართველოს ხარისხის ინფრასტრუქტურის სისტემის საერთაშორისოდ ცნობა. შესაბამისობის შეფასების სისტემებისა და GAC-ისა და GEOSTM-ის საერთაშორისო ორგანიზაციებთან ინტეგრირება.

ბაზარზე ზედამხედველობა – აყალიბებს იმ პრინციპებს, რომელთაც უნდა ეფუძნებოდეს ბაზარზე ზედამხედველობის სისტემა და განსაზღვრავს, რომ საკითხი დეტალურად უნდა იქნეს გაწერილი ბაზარზე ზედამხედველობის სამთავრობო სტრატეგიაში.

„ჰორიზონტული“ დირექტივების, პროდუქციის უსაფრთხოების ზოგადი დირექტივისა და წუნდებულ პროდუქციაზე პასუხისმგებლობის დირექტივის, მოთხოვნების შემოღება – აღწერს, თუ როგორ უნდა ახსახოს დირექტივების მოთხოვნები ეროვნულ კანონმდებლობაში.

ახალი და გლობალური მიდგომების დირექტივების შემოღება პრიორიტეტული სამრეწველო სექტორებისთვის – აღწერს, თუ როგორ უნდა მოხდეს დირექტივის შემოღება ეროვნულ კანონმდებლობაში.

შესაბამისობის შეფასების ინფრასტრუქტურა – განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოხდეს შესაბამისობის შეფასების სისტემის შექმნა და საერთაშორისო სტანდარტებსა და პროცედურებთან მათი შესაბამისობაში მოყვანა.

სტანდარტიზაცია – განსაზღვრავს სტანდარტიზაციის პრინციპებს და უზრუნველყოფს ამ სტანდარტების ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული მხარისათვის .

მეტროლოგია – განსაზღვრავს გაზომვების გაკვლევადობის უზრუნველყოფის პრინციპებს და ადგენს სამართლებრივი მეტროლოგიის მოქმედების სფეროს და საზღვრებს.

სივრცითი დაგეგმარების მიმართულებები

განაშენიანებისა და განსახლების რეგულირების, მდგრადი ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის, ასევე, არსებული ბუნებრივი და ეკონომიკური რესურსების გონივრულად გამოყენების მიზნით, ქვეყნის მასშტაბით უნდა განხორციელდეს რეგიონების, ქალაქებისა და დასახლებების სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარება. ამ მიმართულებით განსაკუთრებული პრიორიტეტი ენიჭება სარეკრეაციო ტერიტორიებს. მიმდინარეობს საქართველოს მასშტაბით რეგიონებში, ქალაქებისა და სხვა დასახლებათა განვითარების სივრცით-ტერიტორიული მოწყობის დოკუმენტაციის განვითარების ხელშეწყობა.

ტურისტული ინფრასტრუქტურის წარმატებული განვითარებისთვის სამინისტრო განიხილავს და ითანხმებს სარეკრეაციო ტერიტორიებზე ასაშენებელი ყველა ობიექტების საპროექტო დოკუმენტაციას და მათ არქიტექტურულ იერსახეს. გაეროს მეთოდოლოგიის მიხედვით დეპარტამენტმა ჩაატარა საქართველოს საბინაო სექტორის კვლევა. მიმდინარეობს მუშაობა საქართველოსთვის ურბანული ინდიკატორების შეგროვებაზე გაეროს HABITAT-ის მეთოდოლოგიის მიხედვით. სამინისტროსთან თანამშრომლობით მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავდა ურბანული მიმოხილვის I ტომი (ზოგადი მიმოხილვა), II ტომის პრიორიტეტულ თემებად გამოიყო ურბანული ეკონომიკა, კერძოდ: 1) ადგილობრივი ეკონომიკის განვითარება და ექსპორტზე ორიენტირებული სექტორები; 2) საქართველო, როგორც რეგიონალური ლოჯისტიკის ჰაბი. ურბანული მიმოხილვისა და სხვა დოკუმენტების საფუძველზე დაგეგმილია საქართველოს ურბანული სტრატეგიის შემუშავება.

რა არის და რისთვის არის საჭირო ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურა?

ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურა მოიცავს მეტროლოგიის, სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების (პროდუქციის შესაბამისობა სტანდარტთან), გამოცდებისა და ხარისხის მენეჯმენტთან დაკავშირებულ ასპექტებს¹³.

- მეტროლოგია - მეტროლოგია მოიცავს გაზომვებთან და გაზომვის საშუალებებთან დაკავშირებულ ყველა ასპექტს;
- სტანდარტიზაცია - უზრუნველყოფს პროდუქციისთვის და მასთან დაკავშირებული წარმოების მეთოდებისთვის წესების, ზოგადი პრინციპებისა და მახასიათებლების დადგენას, უზრუნველყოფს საერთაშორისო და რეგიონული (ევროპული) სტანდარტების მიღებას საქართველოს სტანდარტებად;

¹³ (რა უნდა ვიცოდეთ და რისთვის მჭირდება ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურა (გზამკვლევი) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო 2012)

- აკრედიტაცია - აკრედიტაცია არის პროცედურა, რომლითაც უფლებამოსილი პირი იძლევა ოფიციალურ აღიარებას, რომ პირი ან ორგანიზაცია კომპეტენტურია კონკრეტული ამოცანების შესასრულებლად.
- შესაბამისობის შეფასება - შესაბამისობის შეფასება წარმოადგენს პროდუქტის სტანდარტებთან ან ტექნიკურ რეგლამენტებთან შესაბამისობის დადგენას¹⁴.

ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვანია წარმოებული პროდუქტისა და მომსახურების საერთაშორისო აღიარებისთვის და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის. შესაბამისად, ხარისხის ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვანია ექსპორტისთვის.

მეტროლოგია

- გაზომვის საშუალების მეტროლოგიური დაკალიბრება - გულისხმობს გაზომვის საშუალებების (მაგ: მრიცხველის და სხვა) ზუსტი მეტროლოგიური მახასიათებლების დადგენას. დაკალიბრება წარმოადგენს ნებაყოფლობით პროცედურას და ტარდება ამ გამზომი საშუალების მფლობელის ან მესაკუთრის მოთხოვნებიდან გამომდინარე, იმ გაზომვის საშუალებებზე, რომლებზეც არ ვრცელდება სავალდებულო პერიოდული დამოწმების მოთხოვნა;
- გაზომვის საშუალების მეტროლოგიური დამოწმება - იმ გაზომვის საშუალების მეტროლოგიური შემოწმება (დაკვირვება, დათვალიერება, გამოკვლევა და ა.შ.), რომელიც გამოიყენება საგადასახადო, საბაჟო და სასამართლო ექსპერტიზის მიზნებისათვის ან/და ადმინისტრაციული დაჯარიმებისათვის, მათი დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;
- გაზომვის საშუალების ტიპის რეგისტრაცია - დამოწმებას დაქვემდებარებული დაკანონებული გაზომვის საშუალების გამოყენებამდე,

¹⁴ (როგორც მუშაობს შესაბამისობის შეფასება; სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, 2005)

მისი ტიპის რეგისტრაცია დაკანონებული გაზომვის საშუალებების ტიპის რეგისტრში.

გაზომვის საშუალების მეტროლოგიური დაკალიბრებისა და დამოწმებისთვის შეგვიძლია მივმართოთ სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს ან კერძო ლაბორატორიებს.

გაზომვის საშუალების ტიპის რეგისტრაციისთვის უნდა მივმართოთ სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს.

სტანდარტიზაცია

სტანდარტი - გამოიყენება ტექნიკურ რეგლამენტში განსაზღვრული უსაფრთხოების მოთხოვნების ან/და მიზნების შესრულებისათვის. სტანდარტი შეიძლება ეხებოდეს კონკრეტულ პროცედურას, დეტალს ან სხვა კომპონენტს. სტანდარტის გამოყენება ნებაყოფლობითი ხასიათისაა, რაც საშუალებას აძლევს მეწარმეს ან სხვა პირს, საკუთარი შეხედულების შესაბამისად შეარჩიოს და გამოიყენოს სტანდარტი.

ტექნიკური რეგლამენტი - განსაზღვრავს/ადგენს პროდუქტის, ასევე წარმოების პროცესის უსაფრთხოების ძირითად პარამეტრებს. ტექნიკური რეგლამენტი (იმ სფეროში, სადაც არსებობს) სავალდებულოა შესასრულებლად.

საქართველოში მოქმედი სტანდარტები:

- საქართველოს სტანდარტი - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ რეგისტრირებული სტანდარტი, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნეს როგორც საერთაშორისო ან რეგიონალური სტანდარტის საფუძველზე, ისე შესაბამისი ტექნიკური კომიტეტის მიერ; სტანდარტის გამოყენება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს;
- საქართველოს სტანდარტად მიღებული საერთაშორისო/რეგიონალური ორგანიზაციის სტანდარტი - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის/სტანდარტების საერთაშორისო რეგიონალური

ორგანიზაციის მიერ მიღებული სტანდარტი; სტანდარტის გამოყენება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს;

- საწარმოს შიდა სტანდარტი – მეწარმის მიერ შემუშავებული სტანდარტი, რომელშიც მოცემულია სპეციფიკური ტექნიკური მოთხოვნები, რომლებსაც აკმაყოფილებს პროდუქტი, პროცესი ან მომსახურება.

საწარმოს შიდა სტანდარტი სხვა პირებისათვის სტანდარტად არ განიხილება და რეგისტრაციას არ საჭიროებს.

სტანდარტიზაციის სფეროში საქმიანობა მოიცავს:

- საქართველოს სტანდარტის შემუშავება ან/და რეგისტრაცია - გულისხმობს, დაინტერესებული პირის მიმართვის საფუძველზე სტანდარტის შემუშავებას, შესაბამისი ტექნიკური კომიტეტის საშუალებით და მის რეგისტრაციას სტანდარტების ერთიან რეესტრში, აღნიშნული სტანდარტის გამოყენება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს.
- საქართველოს სტანდარტად მიღებული საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების სტანდარტების რეგისტრაცია (გაყიდვა) - გულისხმობს, სტანდარტიზაციის იმ საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების მიერ მიღებული სტანდარტების რეგისტრაციას და გავრცელებას საქართველოს ტერიტორიაზე, რომლის წევრიც არის სააგენტო. (ეს სტანდარტებია: ISO-ს, IEC-ის, CEN-ის, CENELEC-ის და ასევე სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციის სტანდარტები, „GOST“-ები).

სტანდარტებისა და ტექნიკური რეგლამენტების მიღება/რეგისტრაციას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო.

აკრედიტაცია მოიცავს შემდეგი პირების აკრედიტაციას:

- საგამოცდო და საკალიბრო ლაბორატორიები;
- დაკანონებული გაზომვის საშუალებების დამამოწმებელი ორგანიზაციები;

- პროდუქციის, პერსონალის, მენეჯმენტის სერტიფიკაციის ორგანოები;
- საინსპექციო ორგანოები;
- ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების ცენტრები.

აკრედიტაციის მოსაპოვებლად საჭიროა მივმართოთ სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრს.

1.2 ხარისხის მართვის სისტემა მშენებლობაში

საბაზრო ურთიერთობების პირობებში ხარისხის თანამედროვე სტანდარტების მიღწევა უმთავრესი საზრუნავია ნებისმიერი სიმძლავრისა და პროფილის სამშენებლო კომპანიისთვის.

სამშენებლო კომპანია - ეს არის სამეურნეო სუბიექტი, რომლის ფუნქციონირების ძირითადი მიზანია ისეთი ხარისხის სამშენებლო პროდუქციის წარმოება, რომელიც დააკმაყოფილებს საზოგადოების მოთხოვნებს და უზრუნველყოფს კომპანიის წარმატებას ბაზარზე. საბაზრო ურთიერთობების პირობებში პროდუქციის მაღალი ხარისხი, პროდუქციის დაბალ ფასთან, ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების დაბალ ხარჯებთან ერთად გვევლინება, როგორც კონკურენციულ ბრძოლაში გამარჯვების მოპოვების მთავარი პირობა. სამშენებლო პროდუქციის ხარისხი წარმოადგენს: „სტანდარტებით, ტექნიკური პირობებითა და პროექტით დადგენილი საექსპლუატაციო თვისებების ერთობლიობას, რომელთა მეშვეობითაც სამშენებლო პროდუქცია აკმაყოფილებს მისდამი წაყენებულ მოთხოვნებს“¹⁵.

საერთაშორისო პრაქტიკაში დანერგილია და აქტიურად გამოიყენება სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მიღებული სტანდარტების ISO 9001 სერია, რომელიც განსაზღვრავს ხარისხის მართვის სისტემის მოთხოვნებს ნებისმიერი ორგანიზაციისთვის, რომელსაც სჭირდება მომხმარებლის მოთხოვნის მუდმივად დაკმაყოფილებისა და მიმდინარე ნორმატიულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დემონსტრირება. კომპანიების სერტიფიცირება ხარისხის სფეროში ხორციელდება სტანდარტიზაციის

¹⁵ (ხარისხისა და უსაფრთხოების მენეჯმენტის როლი თანამედროვე სამშენებლო, 2019, გვ. 54; ცხვარიაშვილი)

საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტებული სუბიექტების მიერ, რომელთაც მინიჭებული აქვთ უფლება დაადასტურონ კონკრეტული კომპანიის პროდუქციის შესაბამისობა ხარისხის მოთხოვნებთან. სერტიფიკატი ეს არის ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც შესაძლებელია გაიცეს სხვა და სხვა დონეზე:

- ცალკეული სახეობის საქონლისა და მომსახურების სერტიფიკაცია;
- საწარმოო-ტექნოლოგიური პროცესების სერტიფიკაცია;
- კომპანიის ხარისხის სისტემის სერტიფიკაცია.

მსოფლიოში არსებობს ბევრი ორგანიზაცია, რომლებიც ახორციელებენ კომპანიების სერტიფიკაციას საერთაშორისო დონეზე SAI 9001 სერიის სტანდარტებით. ერთ-ერთი ასეთი აღიარებული კომპანიაა SAI GLOBAL-ი, რომელიც 1922 წლიდან ფუნქციონირებს და წარმოადგენს მსოფლიოს ლიდერ სერტიფიკაციის ორგანოს. დღეისათვის მსოფლიოში SAI 9001 სერიის სტანდარტებით სერტიფიცირებულია 500000-ზე მეტი ორგანიზაცია, მათ შორის ისეთი ცნობილი კომპანიები და ბრენდები, როგორებიცაა: ჯენერალმოტორსი, ბოში, მიცუბიში, ნესტლე, კოდაკი, სიმენსი და ა.შ.

კომპანიაში საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული ხარისხის სისტემის დანერგვა ხელს უწყობს კომპანიის კონკურენტული უპირატესობის მოპოვებასა და მათ წარმატებულ ფუნქციონირებას. ხარისხის სისტემის დანერგვასთან დაკავშირებული სამუშაოების ორგანიზებასა და კოორდინაციას ახორციელებს ორგანიზაციის ხარისხის სამსახური. ხარისხის სამსახურის თანამშრომელთა რიცხვი დამოკიდებულია ორგანიზაციის მასშტაბებსა და მათ მიერ შესასრულებელი ფუნქციების სირთულეზე. ხარისხის სამსახური ვალდებულია განსაზღვროს საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის ფუნქციები, პასუხისმგებლობები, ვალდებულებები და სამშენებლო ობიექტის ხარისხის უზრუნველყოფისთვის საჭირო საწარმოო-ტექნიკური ტიპის გადაწყვეტილებების მიღების საშუალებები. ხარისხის მართვის სისტემის ფარგლებში განისაზღვრება სტრუქტურული განყოფილებების სტატუსი და ფუნქციები, ნორმატიული დოკუმენტები, მეთოდოლოგიური მასალები, ცალკეული მუშაკების უფლებები და ვალდებულებები თანამდებობრივი ინსტრუქციების სახით და ა.შ. ცხადია, რომ

სამშენებლო კომპანიაში ხარისხის სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა მაღალკვალიფიციური პერსონალის არსებობა, როგორც უშუალოდ ხარისხის მართვის, ასევე კომპანიის საქმიანობის სხვა სფეროებში. სამშენებლო კომპანიები პერმანენტულად ახორციელებენ ხარისხის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებას, მათ უტარდებათ სხვადასხვა სახის ტრენინგები ხარისხის კუთხით და გააჩნიათ სრული ინფორმაცია ხარისხის საერთაშორისო სტანდარტების შესახებ. სამშენებლო ორგანიზაციები ხარისხის სფეროში აქტიურად იყენებენ ასევე მომუშავეთა მატერიალურ და მორალურ სტიმულირებას და ხელს უწყობენ მათ კარიერულ ზრდას.

სამშენებლო კომპანიაში განიხილება ხარისხის უზრუნველყოფის შემდეგი ასპექტები: სამშენებლო პროდუქციის ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობის ხარისხი; სამშენებლო პროდუქციის კონსტრუქციის ხარისხი და სამშენებლო პროდუქციის ფუნქციონალური ხარისხი. სამშენებლო პროდუქციის ხარისხის უზრუნველსაყოფად დაცული უნდა იქნეს ხარისხის სამივე ასპექტი, ამისთვის კი აუცილებელია სამშენებლო კომპანიაში შეიქმნას ხარისხის სისტემა, რომლის გამართული ფუნქციონირება წარმოადგენს სამშენებლო პროდუქციის მაღალი ხარისხის მიღწევის აუცილებელ პირობას. სამშენებლო კომპანიის უმთავრესი ამოცანაა ხარისხის სფეროში ორგანიზაციის შიგნით ხარისხის ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზაციის საერთო პოლიტიკის რეალიზაციას ხარისხის სფეროში და უზრუნველყოფს სამშენებლო პროდუქციის მაღალ ხარისხს. სამშენებლო პროდუქციის ხარისხი პირდაპირაა დამოკიდებული, როგორც საპროექტო სამუშაოების, ასევე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულების ტექნოლოგიებისა და გამოყენებული სამშენებლო მასალების ხარისხზე.

სამშენებლო კომპანიაში ხარისხის სისტემის ჩამოყალიბება და მართვა მოითხოვს რიგი ნორმატიული დოკუმენტაციის შემუშავებას, რომელთა არსებობა აუცილებელი პირობაა ხარისხის სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის. ხარისხის სისტემის ფუნქციონირებისთვის საჭირო ნორმატიული დოკუმენტაციის მოცულობა დამოკიდებულია, ორგანიზაციის პოლიტიკაზე ხარისხის სფეროში, საქმიანობის მასშტაბებზე და კომპანიის ორგანიზაციულ სტრუქტურაზე.

ხარისხის შესახებ სახელმძღვანელო დოკუმენტაციის შემუშავების პროცესი შეიძლება დაიყოს რამდენიმე ეტაპად: პირველ ეტაპზე ხორციელდება ხარისხის სისტემის ძირითადი პარამეტრებისა და მიმართულებების ჩამოყალიბება; მეორე ეტაპზე მიმდინარეობს პირველადი ინფორმაციის გადამუშავება; მესამე ეტაპზე ხორციელდება სხვა და სხვა სახის სამუშაო დოკუმენტების მიღება, რომლებიც მოიცავენ: დეტალურ ინსტრუქციებს, კონკრეტულ მეთოდოლოგიასა და მეთოდიკას, შრომითი პროცესების ორგანიზების სქემებს; ტექნოლოგიური პროცესების განხორციელების რუქებს; ხარისხის კონტროლის ფორმებსა და საშუალებებს, ხარისხის შესახებ ანგარიშების წარდგენის ფორმებს. სამშენებლო კომპანიაში ხარისხის სისტემის ფარგლებში ხორციელდება ცალკეული სამშენებლო ობიექტისთვის ხარისხის უზრუნველყოფის ინდივიდუალური პროგრამის დამუშავება, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს ბიზნეს-გეგმის შემადგენელ ნაწილს და მოიცავს იმ კონკრეტული საშუალებებისა და გასატარებელი ღონისძიებების ჩამონათვალს, რომელთა გამოყენებაც აუცილებელი პირობაა კონკრეტული სამშენებლო ობიექტის დაგეგმილი ხარისხის უზრუნველსაყოფად. ხარისხის პროგრამის შემადგენლობაში ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი ინფორმაცია: ასაშენებელი ობიექტის მოკლე დახასიათება, ობიექტის კონსტრუქციული თავისებურებანი, გამოყენებული სამშენებლო ტექნოლოგიები, მშენებლობისთვის აუცილებელი მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსები და ა.შ. ხარისხიანი სამშენებლო პროდუქციის მისაღებად საჭიროა ხარისხის კონტროლი სამშენებლო პროდუქციის მთელი სასიცოცხლო ციკლის მანძილზე, დაწყებული წინასაპროექტო სამუშაოებიდან - დამთავრებული სამშენებლო ობიექტის დემონტაჟით. სამშენებლო პროდუქციის და პროექტების ნებისმიერ სტადიაზე უნდა გავითვალისწინოთ, როგორც საერთაშორისო, ასევე ეროვნული სტანდარტების მოთხოვნები. სამშენებლო პროექტის არქიტექტურული, კონსტრუქციული და საინჟინრო ნაწილების შესაბამისობა აღიარებულ სტანდარტებთან მოწმდება, როგორც დამკვეთი მხარის, ასევე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ, რომლებმაც უნდა გასცენ მშენებლობის დაწყების ნებართვა.

სამშენებლო პროდუქციის ხარისხის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ინსტრუმენტალური, ექსპერტული და შედარებითი მეთოდები. პირველი მეთოდი დაფუძნებულია სპეციალური გამოზომი ინსტრუმენტების გამოყენებაზე, მეორე მეთოდი - ეფუძნება ექსპერტულ შეფასებებს, ხოლო, მესამე მეთოდი - ახდენს ხარისხის ფაქტიური მდგომარეობის ამსახველი მაჩვენებლების შედარებას შესაბამის სტანდარტებთან.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში ხარისხის კონტროლის სისტემისადმი სხვა და სხვა მიდგომები გამოიყენება. მაგალითად, ამერიკულ კომპანიებში პროდუქციის ხარისხზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ კომპანიის ხარისხის კონტროლის განყოფილებებს, ხოლო იაპონურ კომპანიებში - კომპანიებში დასაქმებულ საწარმოო მუშებს, ვინაიდან, იაპონური მენეჯმენტი ითვალისწინებს საწარმოო მუშების მომზადების პროგრამაში ხარისხის უზრუნველყოფის საკითხების სრულყოფილ შესწავლას და, შესაბამისად, მუშებს ევალებათ თავიანთ შესრულებულ სამუშაოს ხარისხზე სრული პასუხისმგებლობა¹⁶. ბელგიაში და ჩეხეთში ხარისხის სახელმწიფო ზედამხედველობა ხორციელდება მხოლოდ განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ობიექტების მშენებლობისას, ხოლო, სხვა შემთხვევებში საქმეში ერთვება ადგილობრივი მშენებლობის მაკონტროლებელი ორგანოები, გარდა ამისა, მშენებლობის ხარისხი განსაკუთრებით უშუალოდ დამკვეთის მიერ ზედამხედველობის განხორციელებით კონტროლდება. როგორც წესი, მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობა ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ხოლო, დამკვეთის მიერ განხორციელებული ზედამხედველობა - მისივე ბიუჯეტიდან. განვითარებულ ქვეყნებში მშენებლობის კონტროლის განხორციელების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სადაზღვევო კომპანიებს, რადგანაც უმრავლეს მათგანში დაზღვევას ექვემდებარება როგორც მშენებლობის პროდუქციის ხარისხი, ასევე მთლიანად ობიექტის მშენებლობა. შესაბამისად, სადაზღვევო კომპანიები აქტიურ კონტროლს ახორციელებენ მშენებლობის ხარისხზე. ზედამხედველობის აღნიშნული სისტემა კარგადაა აპრობირებული ასევე აშშ-სა და იაპონიაშიც. ევროპის უმრავლეს ქვეყანაში (გერმანია, დანია, ნორვეგია, ინგლისი) კი მშენებლობის ხარისხის კონტროლი,

¹⁶ (საბაზრო სისტემის საფუძვლები, 2001; ჯონი ბიჭიაშვილი)

უმეტესწილად, ხორციელდება ადგილობრივი სამშენებლო ინსპექციების მიერ¹⁷.

საქართველოში მშენებლობის ზედამხედველობა ხორციელდება კანონით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“. აღნიშნული კოდექსის მიხედვით ხორციელდება მშენებლობის საჯარო, ტექნიკური და უსაფრთხოების ზედამხედველობა. მშენებლობის საჯარო ზედამხედველობას ახორციელებს მუნიციპალიტეტი. მშენებლობის ტექნიკურ ზედამხედველობას ახორციელებს აკრედიტებული ინსპექტირების ორგანო ან/და სერტიფიცირებული ექსპერტი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ პროექტებზე – აგრეთვე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირი), ხოლო მშენებლობის უსაფრთხოების ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი, შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირი. მშენებლობის საჯარო ზედამხედველობა არის სამშენებლო/სანებართვო პირობების შესრულების, მშენებლობის უსაფრთხოების, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნების შესრულების ზედამხედველობა, აგრეთვე უნებართვო მშენებლობის ან საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით განხორციელებული მშენებლობის გამოვლენა და სათანადო რეაგირება.

მშენებლობის ტექნიკურ ზედამხედველობას ახორციელებს აკრედიტებული ინსპექტირების ორგანო ან/და სერტიფიცირებული ექსპერტი. აკრედიტებული ინსპექტირების ორგანოა პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით განსაზღვრული პირი, რომელიც ახორციელებს მშენებლობის ზედამხედველობას ამ კოდექსითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით. სერტიფიცირებული ექსპერტი არის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პირი, რომელიც შესაბამისი სერტიფიკატის საფუძველზე ახორციელებს მშენებლობის ზედამხედველობას ამ კოდექსითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით. . ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ

¹⁷ (Building Regulations, 2005; Office of the Deputy Prime Minister (ODPM))

პროექტებზე მშენებლობის ტექნიკურ ზედამხედველობას ახორციელებს აგრეთვე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირი. I და II კლასების შენობა-ნაგებობების მშენებლობის ნებართვების მფლობელი უფლებამოსილია, ხოლო III და IV კლასების შენობა-ნაგებობების მშენებლობის ნებართვების მფლობელი ვალდებულია სამშენებლო ობიექტის ინსპექტირების განხორციელება დაუკვეთოს აკრედიტებულ ინსპექტირების ორგანოს ან/და სერტიფიცირებულ ექსპერტს შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. აკრედიტებული ინსპექტირების ორგანო, სერტიფიცირებული ექსპერტი ვალდებულია ამის შესახებ შეატყობინოს მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანოს. მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელი პასუხისმგებელია მის მიერ განხორციელებული სამუშაოს სისწორეზე და მის მიერ ასახული ინფორმაციის ნამდვილობაზე. მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელი ვალდებულია აწარმოოს მშენებლობის პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია. ამ დოკუმენტაციის წარმოების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

III და IV კლასების შენობა-ნაგებობების მშენებლობის პროცესში მშენებლობის ნებართვების მფლობელმა ან მშენებლობის განმახორციელებელმა პირმა უნდა დანიშნოს მშენებლობის უსაფრთხოებისთვის პასუხისმგებელი პირი. თუ I და II კლასების შენობა-ნაგებობების მშენებლობის პროცესში მშენებლობის ნებართვების მფლობელი არ ნიშნავს მშენებლობის უსაფრთხოების ზედამხედველს, მან თვითონ უნდა განახორციელოს მშენებლობის უსაფრთხოების ზედამხედველობა. . მშენებლობის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი, შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირი, რომელიც პერმანენტულად ამოწმებს მშენებლობაზე დასაქმებული სპეციალისტების მიერ მშენებლობის პროცესში უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დაცვას და მათი დარღვევის შემთხვევაში ამის შესახებ ატყობინებს მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანოს, რომელიც იღებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ზომებს.¹⁸

¹⁸ (საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი; საქართველოს კანონი, 2018)

სივრცითი მოწყობისა, ქალაქთმშენებლობისა და მშენებლობის დეპარტამენტი ითანხმებს განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის პროექტების, მშენებლობის განხორციელების ეტაპების და არსებული შენობა-ნაგებობების ან/და მათი ნაწილების ტექნიკური მდგომარეობის სავალდებულო ექსპერტიზის ჩასატარებლად ექსპერტების კანდიდატურებს.

განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების ექსპერტიზის ჩასატარებლად ექსპერტის კანდიდატურის შეთანხმების პროცედურა და მოთხოვნები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N61 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით - „განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის პროექტების სავალდებულო ექსპერტიზის ჩატარების დროებითი წესის დამტკიცების თაობაზე“.

განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების ექსპერტიზის ჩასატარებლად ექსპერტის კანდიდატურის შეთანხმების პროცედურა:

1. მშენებლობის ნებართვის მაძიებელი ნებართვის გაცემის ადმინისტრაციული წარმოების II სტადიაზე საპროექტო დოკუმენტაციასთან ერთად ნებართვის გამცემ ორგანოში წარადგენს ექსპერტთან (საექსპერტო ორგანიზაციასთან) გაფორმებულ ხელშეკრულებას.

2. ნებართვის გამცემ ორგანოში წარდგენილ უნდა იქნეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N61 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით - „განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის პროექტების სავალდებულო ექსპერტიზის ჩატარების დროებითი წესის დამტკიცების თაობაზე“ - გათვალისწინებული და აღნიშნული დადგენილების დანართი 2-ის შესაბამისად ექსპერტობის კანდიდატის მიერ შევსებული სარეგისტრაციო ფორმა თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომლებიც ორი სამუშაო დღის ვადაში გადაიგზავნება შემთანხმებელ ორგანოში;

3. შემთანხმებელი ორგანო ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ცნობების წარმოდგენიდან 5 დღის ვადაში იხილავს წარმოდგენილი ექსპერტობის კანდიდატის მონაცემებს, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N61 დადგენილებით დამტკიცებული

ტექნიკური რეგლამენტის - „განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის პროექტების სავალდებულო ექსპერტიზის ჩატარების დროებითი წესის დამტკიცების თაობაზე“.

4. ექსპერტობის კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სრულყოფილი ინფორმაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენისას შემთანხმებელი ორგანო წერილობით ითანხმებს ექსპერტის კანდიდატურას.

ყოველი კონკრეტული განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის მშენებლობის პროექტის, მშენებლობის განხორციელების ეტაპის, არსებული შენობა-ნაგებობების ან/და მათი ნაწილების სავალდებულო ექსპერტიზის განსახორციელებლად ექსპერტობის კანდიდატმა უნდა შეავსოს სარეგისტრაციო ფორმა.¹⁹

ექსპერტიზას დაქვემდებარებული ობიექტები

ექსპერტიზას ექვემდებარება განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტები, რომლებიც განისაზღვრება "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით.

საექსპერტო შეფასებას დაქვემდებარებული სახეები და მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების ნაწილები

1. სამშენებლო საქმიანობის სავალდებულო საექსპერტო შეფასებას დაქვემდებარებული სახეებია:

მშენებლობის პროექტების ნაწილების საექსპერტო შეფასება;

მშენებლობის წარმოების ეტაპების საექსპერტო შეფასება;

არსებული შენობა-ნაგებობის ან/და მათი ნაწილების საექსპერტო შეფასება.

2. სავალდებულო საექსპერტო შეფასებას დაქვემდებარებული მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების ნაწილებია:

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის საექსპერტო შეფასება;

¹⁹ (განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის პროექტების სავალდებულო ექსპერტიზის ჩატარების დროებითი წესის დამტკიცების თაობაზე; საქართველოს მთავრობა, 2014)

ფუძეების, საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციების საექსპერტო შეფასება;

მშენებლობის პროექტების ტექნოლოგიური ნაწილების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საექსპერტო შეფასება.

ექსპერტობის კანდიდატის მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

მშენებლობის პროექტის ექსპერტი (შემდგომში ექსპერტი) – სპეციალისტი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი სპეციალობის უმაღლესი საინჟინრო განათლება, აქვს სპეციალობით საპროექტო ან/და კვლევითი მუშაობის არანაკლებ 10 წლის სტაჟი და ბოლო 5 წლის პერიოდში განხორციელებული აქვს მსგავსი ტიპის შენობა-ნაგებობების მშენებლობის დაპროექტების ან/და მშენებლობის პროექტების საექსპერტო სამუშაოები;

მშენებლობის განხორციელების ეტაპების ექსპერტი (შემდგომში – "ექსპერტი") – სპეციალისტი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი სპეციალობის უმაღლესი საინჟინრო განათლება, აქვს სპეციალობით საპროექტო ან/და კვლევითი ან/და მშენებლობის განხორციელების ან/და მშენებლობის საზედამხედველო სამუშაოების განხორციელების არანაკლებ 10 წლის სტაჟი და ბოლო 5 წლის პერიოდში განხორციელებული აქვს შენობა-ნაგებობების დაპროექტების ან/და კვლევითი ან/და მშენებლობის განხორციელების ან/და საზედამხედველო ან/და მშენებლობის განხორციელების ეტაპების სამუშაოები;

არსებული შენობა-ნაგებობების ან/და მათი ნაწილების ტექნიკური მდგომარეობის გამომკვლევ ექსპერტი (შემდგომში – "ექსპერტი") – სპეციალისტი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი სპეციალობის უმაღლესი საინჟინრო განათლება, აქვს სპეციალობით საპროექტო ან/და კვლევითი მუშაობის არანაკლებ 10 წლის სტაჟი და ბოლო 5 წლის პერიოდში განხორციელებული აქვს შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევის სამუშაოები.

საქართველოში მშენებლობის ხარისხის ზედამხედველობის პროცესში არ გამოიყენება სადაზღვევო კომპანიების შესაძლებლობები, ვინაიდან, ამისთვის არც საკანონმდებლო მექანიზმები არსებობს და არც სამშენებლო კომპანიები ახდენენ

მშენებლობების დაზღვევას (იშვიათი გამონაკლისების გარდა). აღნიშნული მდგომარეობა განსაკუთრებით დაუცველს ხდის სამშენებლო პროდუქციის მომხმარებელს, რომელსაც არა აქვს არც მშენებლობის ხარისხის დამადასტურებელი არანაირი გარანტია და არც მშენებლობის საერთოდ დასრულების არანაირი გარანტიები. რეგულირების ასეთი მექანიზმების უგულვებელყოფა საბოლოო ჯამში, საზიანოა, როგორც რიგითი მომხმარებლისთვის, ასევე დეველოპერული თუ სამშენებლო კომპანიებისთვის.

1.3 სამშენებლო პროდუქტის ხარისხის შეფასების მაჩვენებლები

სამშენებლო სექტორში ბაზრის მიერ წაყენებული ახალი გამოწვევები, კონკურენცია, მომხმარებლებისგან და დამკვეთისაგან გაზრდილი მოთხოვნები, სრეტიფიცირების მეთოდების და სტანდარტების ცვლილებები ახალი ამოცანების წინაშე აყენებს სამშენებლო ინდუსტრიის საბოლოო პროდუქტის მწარმოებელს, ხოლო შესაბამისად მიღებული შედეგების ცალსახა და სწორად შესაფასებლად აუცილებელია შემუშავებული იქნეს მაჩვენებელთა სისტემები, რომელთა მეშვეობითაც მოხდება როგორც ცაკლეული კვანძების, ასევე საბოლოო პროდუქტის ხარისხის შეფასება. ხარისხის მაჩვენებელთა სისტემა აღწერს სამშენებლო პროდუქტის ნიშანთვისებებს, რომლებიც იძლევიან მიღებული შედეგების როგორც ხარისხობრივ, ისე რაოდენობრივი შეფასების საშუალებას²⁰.

როგორც წესი, ერთი მაჩვენებელი რაოდენ სრულყოფილი და ტევადიც არ უნდა იყოს იგი, არ იძლევა სამშენებლო პროდუქციის ამა თუ იმ თვისებების სრულყოფილად აღწერის საშუალებას. შეფასების სისტემის შემადგენელი ნაწილების რაოდენობა დამოკიდებულია შესაფასებელი კონსტრუქციისა თუ მისი ცაკლეული კვანძის სირთულეზე და სამშენებლო პროდუქტის ხარისხის საბოლოო მაჩვენებელში მის წვლილზე. შეფასების კრიტერიუმის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ისინი სხვადასხვაგვარია, მათ მიერ მიღებული შედეგები სხვადასხვა ერთეულებშია წარმოდგენილი, ან სულაც ზოგი მაჩვენებლის საბოლოო შედეგი მხოლოდ პროდუქტის ამა თუ იმ თვისების მხოლოდ აღწერით ინფორმაციას იძლევა. მაჩვენებელთა ერთი ჯგუფის შეფასებები ატარებს

²⁰ (პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი; საქართველოს კანონი, 2012)

სუბიექტურ ხასიათს და მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული როგორც დამკვეთის მიერ შემფასებელთა გუნდის წევრების ასევე შემსრულებლების და მომხმარებლების შეხედულებებზე.

სამშენებლო სექტორის მარკეტინგული კვლევების შედეგად, შესაბამისი ინფორმაციის შეფასებისა და ანალიზის შედეგად გამოვლენილი იქნა თვისებების ერთობლიობა რომელიც ითხოვს შეფასებას პროდუქციის ხარისხის საბოლოო კონკრეტული რაოდენობრივი მაჩვენებლის მეშვეობით შეფასების მიზნით:

- სოციალური ნიშან-თვისებები;
- ფუნქციონალური თვისებები;
- საიმედოობა;
- ესთეტიკური თვისებები;
- რეგიონალური თვისებები;
- ხანგამძლეობა;
- ექსპლუატაციაში მოხერხებულობა;
- ტექნოლოგიურობა;
- რემონტის მიმართ მოხერხებულობა;
- ეკოლოგიურობა;
- ეკონომიური თვისებები

მშენებლობაში ხარისხის შეფასების მაჩვენებლები ერთმანეთთან სისტემურ კავშირში არიან და მათი საჭიროება დგება საინვესტიციო სამშენებლო ციკლის ამა თუ იმ ეტაპზე:

- წინასაპროექტო და პროექტირების ეტაპი;
- სამშენებლო მასალების წარმოება;
- სამშენებლო კონსტრუქციების წარმოება;
- საორგანიზაციო-ტექნოლოგიური დოკუმენტაციის მომზადება;
- სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოება;
- ნაგებობის ექსპლუატაცია, მომსახურება, შენახვა, რემონტი.

სამშენებლო პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების შესწავლით გამოვლინდა მათი მრავალფეროვნება და სხვადასხვა ფაქტორებზე მნიშვნელოვანი დამოკიდებულება.

სამშენებლო პროდუქციის შეფასების სისტემაში სოციალური მაჩვენებლებს მნიშვნელოვანი როლი უკავია. ისინი განსაზღვრავენ პროდუქტის ყოფასთან შესაბამისობის ხარისხს და მის სოციალური აქტუალობის მნიშვნელობას და დროულად სოციალური მოთხოვნის უზრუნველყოფის დონეს. ობიექტის სოციალური მნიშვნელობის განმსაზღვრელი პარამეტრების მოკვლევა და მათი მეშვეობით ობიექტის სოციალური აქტივობის ხარისხის დონის განსაზღვრა რთული პროცესია და ის არაერთგვაროვან და მრავალრიცხოვან ფაქტორებზეა დამოკიდებული. მაგალითად, საქართველოში ავტობანის მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ამ გზის სოციალური მნიშვნელობა მის ეკონომიურ საჭიროებასთან ერთად განმსაზღვრელი იყო პროექტის სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღებისას. და ამ მაჩვენებლებით პროექტის წინა სტადიაზე შეფასების მაღალმა დონემ გადაწონა პროექტის საწინააღმდეგო ისეთი სერიოზული არგუმენტები როგორცაა ფასი, სირთულე განსაკუთრებით მთიან რეგიონში (რიკოტის გადასასვლელი) და მჭიდროდ დასახლებულ უბნებში დაპროექტების და შესრულების სირთულე (ქობულეთისა და ბათუმის გზაასაქცევი) ამ დროს ოპტიმიზაციის კრიტერიუმები იყო, ტვირთებისა და შესაბამისად საბიუჯეტო სახსრების მოზიდვის მიზნით, გადაზიდვების საიმედოობის გაზრდა, პროცესზე გაწეული ხარჯების მაქსიმალურად შემცირების გზით უსაფრთხოების მაჩვენებლის გაზრდითა და ექსპლოატაციის ხანგრძლივი პროცესის მთელ ეტაპზე დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე შენარჩუნებით. სამოქალაქო მშენებლობაში ზოგი სოციალურ ფაქტორი სუბიექტურია, მაგალითად ქალაქის ამა თუ იმ უბნის თუ ქუჩის პრესტიჟულობა. ასეთი მაჩვენებლები და არა რეალური ფასი სერიოზულ გავლენას ახდენენ სამშენებლო პროდუქტის შეფასებისას საბოლოო ღირებულებაზე.

შეფასების ცაკლუელი მაჩვენებლები თვითონაა კომპლექსური მაჩვენებელი და შედგება რამდენიმე მიმართულებისაგან. მაგალითად, ფუნქციონალური მაჩვენებლები პირობითად შეიძლება დავყოთ რამდენიმე ჯგუფად:

- მაჩვენებლები, რომელიც აღწერს შენობებისა და საინჟინრო ნაგებობების სივრცით ნიშანთვისებებს;
- კომფორტულობისა და საჰაერო სივრცის შესაფასებელი მაჩვენებლები;
- განათების რეჟიმის შეფასების მაჩვენებლები;
- ხმაურის დონის შეფასების მაჩვენებელი;
- შენობა-ნაგებობების თანამედროვე საინჟინრო და საყოფაცხოვრებო მიღწევებით აღჭურვის დონის მაჩვენებლები;
- შენობა-ნაგებობის, საინჟინრო კვანძის საავტომობილო გზის და სხვა სამშენებლო ობიექტის ფუნქციონალურ დანიშნულებასთან შესაბამისობის მაჩვენებელი;
- შენობა-ნაგებობის, საინჟინრო კვანძის საავტომობილო გზის და სხვა სამშენებლო ობიექტის ექსპლუატაციისას უსაფრთხოების ხარისხის მაჩვენებელი.

სამშენებლო პროდუქციის ხარისხის განსაზღვრის ყველაზე ეფექტიან საშუალებას წარმოადგენს მისი ISO 9000 მოთხოვნის შესაბამისობაში მოყვანა.

ISO 9000 სტანდარტის სისატემათა ჯგუფი თავის ისტორიას 1987 წლიდან ითვლის, როცა სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ (International Organization for Standardization ან ISO) დაამტკიცა ხარისხის უზრუნველყოფის საერთაშორისო სტანდარტის პირველი ვერსია, შემდეგ პროექტირების, მშენებლობის, მონტაჟის, ექსპლუატაციის ეტაპზე ხარისხის უზრუნველყოფის მოდელები ISO 9001, ISO 9002 და ხარისხის გამოცდის და საბოლოო კონტროლის მოდელი ISO 9003. მშენებლობის პროცესის სხვადასხვა ეტაპზე პროდუქციის ხარისხი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ეფექტური დაგეგმვით, მართვით, გარანტიით და სისტემური გაუმჯობესებით.

2 ძირითადი ნაწილი

2.1 ხარისხის ინფრასტრუქტურის გავლენა შენობა-ნაგებობების საიმედო მუშაობაზე

ევრონორმებში, კერძოდ, Eurocode 1. ENV 1991-1. Basis of Design and Actions on Structures. Part I – Basis of Design, CEN, 1994 (2000) (დატვირთვები და ზემოქმედებები), ასევე ISO სტანდარტებში ISO/TC 98, ST 2394. General Principles on Reliability of Structures, 1994, მოცემულია საიმედოობისა და უსაფრთხოების ის ზომები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს თანამედროვე შენობა. საქართველოში უკანასკნელ წლებში ევრონორმების მოთხოვნების შესაბამისად გაიზარდა სკოლების, საბავშვო ბაღების და საავადმყოფოების შენობების საიმედოობა, რაც გამოიხატება საიმედოობის კოეფიციენტების გაზრდაში.^{21,22}

აქვე გავუსვათ ხაზი, რა არის უსაფრთხოება?

უსაფრთხოება - ეს არის რაიმე რისკის არარსებობა; ამ რისკის მოხდენის შემთხვევა ზიანის მომტანია ვინმესთვის ან რაიმესთვის. უსაფრთხოება - ეს არის საქმიანობის ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც განსაზღვრული ალბათობით გამოირიცხება პოტენციური(მოსალოდნელი) საშიშროებები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ადამიანის ჯანმრთელობას.

რა არის საიმედოობა?

სამშენებლო ობიექტის საიმედოობა - სამშენებლო ობიექტის უნარი ექსპლუატაციის საანგარიშო დროის განმავლობაში მტყუნების გარეშე შეასრულოს საექსპლუატაციო ფუნქციები (მოთხოვნები), კონსტრუქციის უნარი შეინარჩუნოს სიმტკიცე და მდგრადობა საექსპლუატაციო პერიოდის მანძილზე. ამ უკანასკნელი განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ საიმედოობა დროზეა დამოკიდებული.

1950-იანი წლების შუა ხანებში ზღვრული მდგომარეობის მეთოდის დანერგვამ შესაძლებელი გახადა სხვადასხვა კონსტრუქციების მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინება და დატვირთვის ფაქტობრივი ცვალებადობა და სამშენებლო

²¹ (ხარისხის უზრუნველყოფის შიდა ინსტიტუციური მექანიზმები გზამკვლევი, 2009)

²² (ხარისხის მართვა, ხარისხის მენეჯმენტი, 2016)

მასალების მექანიკური თვისებების ეფექტურად გამოყენება და ა.შ. შესაძლებელი გახდა მიგვეღწია ცალკეული კონსტრუქციული ელემენტის საიმედოობის გარკვეული დონისთვის, რომლებიც ქმნიან ერთ მთლიანობას. ეს მეთოდი ეფუძნება დატვირთვების მნიშვნელობების, მასალის მექანიკური თვისებების და კონსტრუქციების და მასალების მუშაობის პირობების სტატისტიკურ შესწავლას.

ზღვრული მდგომარეობის პირობას შემდეგი სახე აქვს:

$$\psi(F_p, R_p, \gamma_n, \gamma_a, \gamma_c, c) \geq 0. \quad (1)$$

სადაც F_p - დატვირთვის საანგარიშო მნიშვნელობაა;

$$F_p = F_n \gamma_f$$

γ_f - დატვირთვის მიხედვით საიმედოობის კოეფიციენტი;

F_n - დატვირთვის ნორმატიული მნიშვნელობა.

R_p - მასალის წინაღობის საანგარიშო მნიშვნელობა;

$$R_p = R_n / \gamma_m;$$

R_n - მასალის წინაღობის ნორმატიული მნიშვნელობა;

γ_m - მასალის მიხედვით საიმედოობის კოეფიციენტი;

γ_n - კონსტრუქციის პასუხისმგებლობის მიხედვით საიმედოობის კოეფიციენტი;

γ_c - მუშაობის პირობების კოეფიციენტი;

γ_a - სიზუსტის კოეფიციენტი;

c - მუდმივაა, რომელიც მოიცავს წინასწარ შერჩეულ შეზღუდვებს, მოცემულს ზოგიერთი ტიპის ზღვრული მდგომარეობისთვის (ჩაღუნვის სიდიდე, ბზარის გახსნის სიდიდე და ა.შ.).

(1) პირობა განსაზღვრავს კონსტრუქციის დასაშვები მდგომარეობის საზღვრებს. ამ პირობაში შემავალი ფაქტორები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად. პირველი ჯგუფი ფაქტორებისა დამოკიდებულია თვით კონსტრუქციის თვისებებზე, ხოლო მეორე ჯგუფი - გარე ზემოქმედებებზე.

ხშირ შემთხვევაში ეს დაყოფა შესაძლებელია მათ შორის ფუნქციონალური და კორელაციური კავშირების არქონის გამო.

კონსტრუქციის ზღვრული მდგომარეობა ზოგადად ასე ჩაიწერება:

$$R-F>0,$$

სადაც R – კონსტრუქციის განზოგადებული სიმტკიცეა;


F – განზოგადებული დატვირთვა, ან სხვაგვარად:

$$S = R-F \quad (3),$$

სადაც F – კონსტრუქციაში ძალვის(ან ძაბვის) უდიდესი მნიშვნელობაა, გამოხატული გარე დატვირთვის საშუალებით (ანუ ზღვრული მდგომარეობის ამოცანა შეიძლება ჩაითვალოს ამოხსნილად).

R – ზიდვის უნარი, გამოხატული იგივე ერთეულებში, რაშიც კონსტრუქციის სიმტკიცეა გამოხატული (ანუ სიმტკიცის მიხედვით ზღვრული მდგომარეობისას – დენადობის ზღვარი, სიმტკიცის ზღვარი და ა. შ.).

S – სიმტკიცის მარაგია.



ნახაზი 3

საიმედოობა ასევე დამოკიდებულია საწყის საიმედოობაზე. საწყისი საიმედოობა – უნარი შეინარჩუნოს სიმტკიცე და მდგრადობა ექსპლუატაციის საწყის პერიოდში გარე დატვირთვების ზემოქმედებისას. საწყისი საიმედოობა დროზე არ არის დამოკიდებული და განისაზღვრება მასალის თვისებებით, გეომეტრიული ზომებით და სანგარიშო დატვირთვებით^{23, 24}.

²³ (მამარდაშვილი , ხარისხის ინფრასტრუქტურის როლი სამშენებლო საქმეში, 2018)

²⁴ (მამარდაშვილი, ხარისხის ინფრასტრუქტურის გავლენა შენობა-ნაგებობების საიმედო მუშაობაზე, 2019)

სამშენებლო მოედანზე მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციების აგებისთვის საჭიროა, ბეტონის კლასი სრულად შეესაბამებოდეს პროექტირებისას გაანგარიშებით მიღებულს; ბეტონის კლასის შემოწმება ხდება ლაბორატორიებში ცნობილი მეთოდებით (მომზადებული ბეტონის ხსნარისგან მზადდება რამდენიმე ბეტონის კუბიკი, რომელსაც ამოწმებენ სიმტკიცეზე ლაბორატორიებში). რადგან ეს სიდიდე ლაბორატორიულად მიღებული სიდიდეა, მას აუცილებლად ექნება მნიშვნელობის ცდომილება, ანუ სიმტკიცის მნიშვნელობა წარმოადგენს შემთხვევით სიდიდეს თავისი შემთხვევითი გადახრებით ნორმირებული მნიშვნელობიდან. ამ გადახრებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ შენობის საიმედო მუშაობაზე. ამისთვის ჩავატარე სტატისტიკური ექსპერიმენტი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლაბორატორიის და სხვადასხვა მეცნიერთა მიერ ჩატარებული ექსპერიმენტების მონაცემებზე დაყრდნობით.

დღესდღეობით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დიდ ქალაქებში ბევრი ახალაშენებული საცხოვრებელი კორპუსებია, მოთხოვნა ძველ აშენებულ ბინებზე ისევ არსებობს. ეს შენობები თავის დროზე გაანგარიშებულია СНиП-ების საშუალებით და, მართალია აკმაყოფილებენ სიმტკიცის და მდგრადობის პირობებს, მაგრამ აღარ აკმაყოფილებენ იმ პირობებს, რასაც ევროპული სტანდარტები ითხოვენ. ამიტომ დავინტერესდით, გადაგვემოწმებინა გასულ საუკუნეში აშენებული რამდენიმე შენობა ახალი მოთხოვნების გათვალისწინებით.


ქვემოთ მოცემულია გასულ საუკუნეში თბილისში აშენებული მეტროსადგურ „ავლაზრის“ (ყოფილი მეტრო „26 კომისრები“) ზედა სადგურის გადაანგარიშება; აქ ნათლად ჩანს, რომ პროექტი ევროსტანდარტებს ვეღარ დააკმაყოფილებს, რადგან მასში არმირება განხორციელებულია ძველი საბჭოთა ნორმებით (A-I, A-II კლასის არმატურაა გამოყენებული). ამასთან შენობა გაანგარიშებული იყო 7- ბალიანი მიწისძვრის პირობით ($A=0,1$); დღესდღეობით კი, როგორც ვიცით, თბილისი შესულია 8-ბალიან მიწისძვრის ზონაში, და

გაანგარიშება ხდება მიწისძვრის უგანზომილებო კოეფიციენტის $A=0,17$ მნიშვნელობისთვის.²⁵

ქ. თბილისში, შპს “თბილისის სატრანსპორტო კომპანიის” მეტროსადგურ ავლაბრის ნაგებობის მიწისზედა ნაწილის (ვესტიბულის) მზიდი კონსტრუქციების გაანგარიშება ჩატარდა ლიცენზირებული გამოთვლითი კომპლექსის “LIRA SAPR 2016”-ის მეშვეობით, სასრულ ელემენტთა მეთოდის საფუძველზე. საანგარიშო მოდელი სივრცითია. მზიდი კონსტრუქციები მოდელირებულია #10, #41, #42, #44 სასრული ელემენტებით. მათი სიხისტეების საწყისი მონაცემები აღებულია ძველი საპროექტო დოკუმენტაციიდან. გაანგარიშება შესრულდა I და II ჯგუფის ზღვრულ მდგომარეობათა მიხედვით. გაანგარიშება ჩატარდა ორ ვარიანტად:


1. საანგარიშო მოდელი შედგენილია არსებული კონსტრუქციული სქემის შესაბამისად (ნახ. 4).
2. საანგარიშო მოდელში, I ვარიანტისგან განსხვავებით, მოხსნილია +5.00 ნიშნულზე არსებული კონსოლური ფილა შენობის მთელ პერიმეტრზე (ნახ. 4).

avlabris_metro_13d



ნახაზი 4 მეტრო „ავლაბრის“ ზედა სადგურის გადახურვის კონსტრუქცია კონსოლით

²⁵ (სამშენებლო ნორმების და წესების – „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01-09) – დამტკიცების შესახებ; მინისტრის ბრძანება №1-1/2284, 2009)



ნახაზი 5 მეტრო „ავლაზრის“ ზედა სადგურის გადახურვის კონსტრუქცია კონსოლის გარეშე

ნორმატიული დოკუმენტები

საანგარიშო მოდელი შედგენილია შემდეგი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნათა გათვალისწინებით:

- ა) სამშენებლო ნორმები და წესები „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01-09);²⁶
- ბ) სამშენებლო ნორმები და წესები „ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები“²⁷
(პნ 03.01-09);
- გ) სამშენებლო ნორმები და წესები „შენობების და ნაგებობების ფუძეები“ (პნ 02.01-08);²⁸
- დ) სამშენებლო ნორმები და წესები „დატვირთვები და ზემოქმედებები“ (სნიპ 2.01.07-85).²⁹

კლიმატური პირობები

²⁶ (მინისტრის ბრძანება №1-1/2284; სამშენებლო ნორმების და წესების – „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01-09) – დამტკიცების შესახებ, 2009)

²⁷ („სამშენებლო ნორმების და წესების – ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები (პნ 03.01-09) – დამტკიცების შესახებ“; მინისტრის ბრძანება ბრძანება №1-1/2391, 2009)

²⁸ („სამშენებლო ნორმების და წესების – „შენობების და ნაგებობების ფუძეები (პნ 02.01-08)“ – დამტკიცების შესახებ“; საქართველოს მინისტრის ბრძანება №1-1/1924, 2008)

²⁹ (საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების, წესების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენების შესახებ; საქართველოს მინისტრის ბრძანება №1-1/251, 2011)

აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა..... -23⁰ C
 აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა..... +40⁰ C
 ქარის ნორმატიული დატვირთვა 0.85 კპა (86.7 კგმ/მ²)
 თოვლის ნორმატიული დატვირთვა..... 0.5 კპა (51 კგმ/მ²)
 ნალექების მაქსიმალური დონე 24 საათის განმავლობაში... 147 მმ
 გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე..... 0 (სმ)

ნაგებობის პასუხისმგებლობის კლასი

საქართველოს პროექტირების ნორმების თანახმად „პნ 03.01-09“³⁰
 განსახილველი შენობა მიეკუთვნება I კლასის შენობას. ამ შემთხვევაში
 საიმედოობის კოეფიციენტი ნაგებობის პასუხისმგებლობის კლასის მიხედვით
 $\gamma_n=1$.

სამშენებლო მასალები

- ა) ბეტონი B25 კლასის(დრეკადობის საწყისი მოდული $E=30000$ მპა,
 საანგარიშო წინაღობა კუმშვაზე $R_b=14.5$ მპა);³¹
- ბ) არმატურა AII კლასის (დრეკადობის საწყისი მოდული $E=205940$ მპა,
 საანგარიშო წინაღობა გაჭიმვაზე და კუმშვაზე
 $R_s=R_{sc} =280$ მპა, ჭრაზე $R_{sw} =225$ მპა);
- არმატურა AI კლასის (დრეკადობის საწყისი მოდული $E=205940$ მპა,
 საანგარიშო წინაღობა: კუმშვაზე $R_{sc} =225$ მპა;
 გაჭიმვაზე $R_s =225$ მპა;
 ჭრაზე $R_{sw} =176$ მპა).

³⁰ (მინისტრის ბრძანება №1-1/2284; სამშენებლო ნორმების და წესების – „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01-09) – დამტკიცების შესახებ, 2009)

³¹ („სამშენებლო ნორმების და წესების – ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები (პნ 03.01-09) – დამტკიცების შესახებ“; მინისტრის ბრძანება ბრძანება №1-1/2391, 2009)

დატვირთვების საიმედობის კოეფიციენტები

თანახმად საქართველოში მოქმედი პროექტირების ნორმებისა “НАГРУЗКИ И ВОЗ-ДЕЙСТВИЯ” СНиП 2.01.07-85]³², განსახილველ შენობის კონსტრუქციებზე მოსული დატვირთვების საიმედობის კოეფიციენტი γ

A. მუდმივი დატვირთვებისთვის

- A 1. ნაყარი გრუნტი1.15;
- A 2. რკ/ბ-ის კონსტრუქციები1.1;
- A 3. ლითონის კონსტრუქციები.....1.05;
- A 4. იატაკები.....1,2;
- A 5. სტაციონარული დანადგარები1.05;
- A 6. ტიხრები.....1,1;
- A 7. ვიტრაჟი.....1,1.

B. დროებითი დატვირთვებისთვის

- B 1. თანაბრად განაწილებული დატვირთვა < 200 კგ/მ².....1.3;
- B 2. თანაბრად განაწილებული დატვირთვა ≥ 200 კგ/მ²..... 1.2;
- C. თოვლის დატვირთვისთვის.....1,4;
- D. ქარის დატვირთვისთვის.....1,4.

ნორმატიული დატვირთვების სიდიდეები

ა) მუდმივი დატვირთვა

- * ყველა მზიდი კონსტრუქციის წონა,
- * იატაკის წონა (200 კგ/მ²),
- * ტიხრების წონა (150 კგ/მ²),
- * სახურავის ბურულის წონა (130 კგ/მ²).

ბ) დროებითი დატვირთვა

- * სამეურნეო ზონა +2.50 ნიშნულზე (150 კგ/მ²),
- * თოვლის დატვირთვა (51 კგ/მ²),

³² (НАГРУЗКИ И ВОЗДЕЙСТВИЯ; СТРОИТЕЛЬНЫЕ НОРМЫ И ПРАВИЛА, 2011)

* ქარის დატვირთვა (86.7 კგ/მ²).

გ) სეისმიკა

განხილულია სეისმური ძალის ზემოქმედების ხუთი მიმართულება:

X ღერძის გასწვრივ, Y ღერძის გასწვრივ, Z ღერძის გასწვრივ, X ღერძის მიმართ 45⁰-იანი კუთხით და X ღერძის მიმართ 135⁰-იანი კუთხით.

სეისმური დატვირთვა გამოითვლება ფორმულით $S = k_0 k_1 k_2 k_3 k_{\psi} A Q \beta \eta$

სადაც $k_0=1.0$, $k_1=0.35$, $k_2=1.0$, $k_3=1.4$, $k_{\psi}=1.0$, $A=0.17$.

გრუნტის კატეგორია სეისმური თვისებების მიხედვით არის მეორე. გათვალისწინებულია საკუთარი რხევის 50 ფორმა. სეისმური მასების მონაწილეობის ფაქტორი შეადგენს 92%-ს.

თანწყობის კოეფიციენტები

დინამიკური დატვირთვების სიდიდეთა ფორმირებისთვის საანგარიშო სტატიკური დატვირთვები მრავლდება შემდეგ თანწყობის კოეფიციენტებზე (პნ 01.01-09, პუნქტი 4.1).

მუდმივი - 0.9;

დროებითი ხანგრძლივი - 0.8;

დროებითი ხანმოკლე - 0.5.

სტატიკური და დინამიკური ძალების შეჯამება

ელემენტებში ჯამური ძალების მისაღებად სტატიკური დატვირთვისგან გამოწვეულ ძალებს ვუმატებთ დინამიკური დატვირთვისგან მიღებულ შესაბამის ძალებს. დინამიკური დატვირთვები არის ნიშანცვლადი და ურთიერთგამომრიცხავი, რისი გათვალისწინებაც ხდება ძალების საანგარიშო შეხამების ანგარიშისას.

ძალები სეისმური დატვირთვისგან გამოითვლება ფორმულით

$$N = \sqrt{\sum_{i=1}^{kf} N_i^2}$$

N_i - არის რხევის i -ური ფორმის შესაბამისი ძალვა;

K_f - არის ფორმების რაოდენობა.

განგარიშების შედეგები

I ვარიანტი

ნაგებობის მთლიანი წონა $Q=863$ ტ (მათ შორის მუდმივი დატვირთვისგან $Q_{მუდ}=767$ ტ, დროებითი დატვირთვისგან $Q_{დრ}=96$ ტ).

გადამჭრელი ძალა სეისმიკისგან: X ღერძის გასწვრივ $V_x=26$ ტ;

Y ღერძის გასწვრივ $V_y=28$ ტ.

რხევის საკუთარი პერიოდი: X ღერძის გასწვრივ $T_x=0.26$ წმ;

Y ღერძის გასწვრივ $T_y=0.29$ წმ.



მაქსიმალური გადახრა სეისმიკისგან: X ღერძის გასწვრივ $f_x=3.81$ მმ (ნახ. 6);

Y ღერძის გასწვრივ $f_y=3.78$ მმ (ნახ. 6);

Z ღერძის გასწვრივ $f_z=3.13$ მმ (ნახ. 7);

მაქსიმალური დეფორმაცია (ჩაღუნვა)

სტატიკური დატვირთვისგან $f_z=17.62$ მმ (ნახ.8, ნახ.9).





ნახაზი 6 დეფორმაციული სქემა (გადახრა სტატიკური დატვირთვისგან, “კრენი”)



მაქსიმალური დასაშვები დეფორმაცია სტატიკური დატვირთვისგან (სნიპ 2.01.07-85*)

$$H/500=6000/500=12 \text{ მმ} > 2.19 \text{ მმ}$$


$f_y=2.19$ მმ არ აღემატება დასაშვებ სიდიდეს




ნახაზი 7 დეფორმაციული სქემა სეისმური ზემოქმედებისგან (გადახრა X ღერძის გასწვრივ, მმ)




ნახაზი 8 დეფორმაციული სქემა სეისმური ზემოქმედებისგან (გადახრა Y ღერძის გასწვრივ, მმ)



ნახაზი 9 დეფორმაციული სქემა სეისმური ზემოქმედებისგან (გადახრა Z ღერძის გასწვრივ, მმ)



ნახაზი 10 სახურავის კონსტრუქციის დეფორმაციული სქემა (ჩალუნვა, მმ) მუდმივი დატვირთვებისგან



ნახაზი 11 სახურავის კონსტრუქციის დეფორმაციული სქემა (ჩალუნვა, მმ) დროებითი დატვირთვებისგან

II ვარიანტი

ნაგებობის მთლიანი წონა $Q=670$ ტ (მათ შორის მუდმივი დატვირთვისგან $Q_{მუდ}=603$ ტ, დროებითი დატვირთვისგან $Q_{დრ}=67$ ტ).


გადამჭრელი ძალა სეისმიკისგან: X ღერძის გასწვრივ $V_x=21$ ტ;
 Y ღერძის გასწვრივ $V_y=22$ ტ.

რხევის საკუთარი პერიოდი: X ღერძის გასწვრივ $T_x=0.22$ წმ;
 Y ღერძის გასწვრივ $T_y=0.22$ წმ.

მაქსიმალური გადახრა სეისმიკისგან: X ღერძის გასწვრივ $f_x=2.8$ მმ (ნახ. 7);
 Y ღერძის გასწვრივ $f_y=2.31$ მმ (ნახ. 8);
 Z ღერძის გასწვრივ $f_z=1.61$ მმ (ნახ. 9);

მაქსიმალური დეფორმაცია (ჩალუნვა)


სტატიკური დატვირთვებისგან $f_z=9.86$ მმ (ნახ. 10, ნახ. 11).





ნახაზი 12 დეფორმაციული სქემა (გადახრა სტატიკური დატვირთვისგან, “კრენი”)

მაქსიმალური დასაშვები დეფორმაცია სტატიკური დატვირთვისგან (სნიპ 2.01.07-85*)



$H/500=6000/500=12 \text{ მმ} > 1.31 \text{ მმ}$; $f_y=1.31 \text{ მმ}$ არ აღემატება დასაშვებ სიდიდეს.




ნახაზი 13 დეფორმაციული სქემა სეისმური ზემოქმედებისგან (გადახრა X ღერძის გასწვრივ, მმ)




ნახაზი 14 დეფორმაციული სქემა სეისმური ზემოქმედებისგან (გადახრა Y ღერძის გასწვრივ, მმ)



ნახაზი 15 დეფორმაციული სქემა სეისმური ზემოქმედებისგან Z ღერძის გასწვრივ, მმ)



ნახაზი 16 სახურავის კონსტრუქციის დეფორმაციული სქემა (ჩალუნვა, მმ) მუდმივი დატვირთვებისგან



ნახაზი 17 სახურავის კონსტრუქციის დეფორმაციული სქემა (ჩალუნვა, მმ) დროებითი დატვირთვებისგან

გადაანგარიშებამ 8-ბალიანი სეისმური დატვირთვების გათვალისწინებით მოითხოვა არსებული კოლონების გაძლიერება, რაც გამოწვეული იყო არმატურის სიმცირით და ბეტონის დამცავი შრის დაზიანებით, რამაც გამოიწვია გაშიშვლებული არმატურის კოროზია. გადახურვის კონსოლურ ფილებში გამოყენებული იყო და A-II კლასის არმატურები, დარღვეული იყო


დამცავი შრის სისქე, რის გამოც საჭირო გახდა კონსოლური ფილის დემონტაჟი. მიუხედავად იმისა, რომ გადახურვის გარსი არმირებული იყო A-I და A-II კლასის არმატურებით, გადახურვის ორმაგი სიმრუდის გარსის სიმტკიცე და მდგრადობა დამაკმაყოფილებელია. რადგან მეტრო განეკუთვნება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილს, ევრო ნორმებით მისი საიმედოობის ხარისხი არადამაკმაყოფილებელია.

ჩემს მიერ მეორე საკვლევ ობიექტებად შერჩეულ იქნა ქ. თბილისში ვაჟა-ფშაველას გამზირსა და მარიჯანის ქუჩის გადაკვეთაზე მდებარე 17 სართულიანი შენობა (ნახ.18); შედარებულია შენობის გაანგარიშების ორი ვარიანტი:

1. საქართველოს ნორმებით- პნ, სნიპ;
2. ევროკოდით

პროგრამა: Lira SAPR 2022x64 v1.0

შენობა რკინაბეტონისაა, კარკასული, რბ დიაფრაგმებით(ნახ.18).



ნახაზი 18 17 სართულიანი შენობის საანგარიშო მოდელი

შენობა მდებარეობს ქ. თბილისში ვაჟა-ფშაველას გამზირსა და მარიჯანის ქუჩის გადაკვეთაზე. შენობა შედგება სამი ბლოკისგან A, B და C. ბლოკები ერთმანეთისგან გამოყოფილია შეთავსებული სეუსმური და ტემპერატურული ნაკერებით. ანგარიში შესრულებულია A ბლოკისთვის, შენობა 15 სართულიანია,

ორი მიწისქვეშა სართულით. შენობის ნაწილზე, B ბლოკის მხარეს დამატებით ორი სართულია, ანუ 17 სართულია.

ნორმატიული დატვირთვები სნიპ-ით და ევროკოდით იდენტურია, ამდენად რხევის სიხშირე და პერიოდები ერთნაირია. სნიპ-ებით საიმედოობის კოეფიციენტი მუდმივ დატვირთვებზე 1,1³³, ხოლო ხანმოკლე დატვირთვებზე 1,2. ევროკოდებით - შესაბამისად 1,35 და 1,5^{34,35,36}. მოქმედი სეისმიური ძალის სიდიდე ევროკოდის მიხედვით ნაკლებია ვიდრე სნიპ-ით, სადაც შედის კოეფიციენტი $k_2=1,0-1,5$, რომელიც ითვალისწინებს შენობა-ნაგებობის კონსტრუქციულ გადაწყვეტას და სართულიანობას (ცხრილი 4³⁷), შესაბამისად ზრდის სეისმიური დატვირთვის სიდიდეს. ჩვენ შემთხვევაში $k_2=1,5$, ამდენად, ანგარიშის შედეგების თანახმად ევროკოდებით შესრულებული ანგარიშის შედეგებით კოლონებში, რიგელებში და სართულშუა გადახურვის ფილებში არმირება ნაკლებია მოთხოვნილი სნიპ-ით მიღებულ შედეგთან შედარებით. ევროკოდ-8-ის³⁸ მიხედვით, სეისმიური ძალის გათვალისწინება ხდება ქცევის კოეფიციენტის საშუალებით - q , რომელიც იცვლება 1,5-დან 4,0-მდე. ჩვენს შემთხვევაში გაანგარიშებებში აღებულია $q=4$. უნდა აღინიშნოს, რომ ეს კოეფიციენტი გამოიყენება 5-ზე მეტი სართულიანობის შენობების შემთხვევაში. 5 სართულამდე შენობებში სნიპ-ებით და ევროკოდებით გაანგარიშების შედეგები იდენტურია.

ევროკოდით მიღებული შენობის ჰორიზონტალური გადაადგილება ნაკლებია სნიპ-ით მიღებულ გადაადგილებაზე, ხოლო თუ გავითვალისწინებთ $k_1=1,5$ (კოეფიციენტს, რომელიც შენობაში დასაშვებ დაზიანებებს ითვალისწინებს. ითვალისწინებს კონსტრუქციის უნარს განავითაროს არადრეკადი დეფორმაციები და სეისმომედეგობის სხვა მარაგები), დასაშვები გადაადგილება ანგარიშის თანახმად 50%-ით იზრდება (ნაცვლად 205მმ-სა, გახდა 308,5მმ. იხ. ანგარიში).

³³ (საქართველოს მინისტრის ბრძანება №1-1/251, 2011)

³⁴ (Eurocode - Basis of structural design ; EUROPEAN STANDARD , 2005)

³⁵ (Eurocode 1: Actions on structures - Part 1-1: General actions -; EUROPEAN STANDARD, 2002)

³⁶ (Eurocode 2: Design of concrete structures - Part 1-1 : General; EUROPEAN STANDARD, 2004)

³⁷ (სამშენებლო ნორმების და წესების – „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01-09) – დამტკიცების შესახებ; მინისტრის ბრძანება №1-1/2284, 2009)

³⁸ (Eurocode 8: Design of structures for earthquake resistance -; EUROPEAN STANDARD , 2004)



გაანგარიშებებმა უჩვენა, რომ არმირების პროცენტი ევროკოდით გაანგარიშებაში თითქოს მეტია სნიპ-ებით მიღებულ იგივე შედეგებზე, მაგრამ, როგორც ნახაზი 25 და 26-დან ჩანს, ევროკოდებით გაანგარიშებით მიღებულ შედეგებში არმატურები უფრო ეფექტურადაა განაწილებული სვეტების კვეთებში (ნახ.26), ვიდრე სნიპ-ებით გაანგარიშებულში (ნახ.25).

ამრიგად, ევრონორმებით გაანგარიშება გვაძლევს ეკონომიურობას, საიმედოობას, და ასევე პროგნოზირებას, რადგან იძლევა სეისმური ზემოქმედებისას შენობაში დისსიპაციის წერტილების მდებარეობას.


გასათვალისწინებელია ისიც, რომ ნაშრომში მოყვანილია ერთი არსებული შენობის ანგარიში. სტატისტიკისთვის უმჯობესია შედარებულ იქნას რამოდენიმე შენობა სხვადასხვა სართულიანობის და გეგმაში განსხვავებული ფორმების. აღნიშნული საკითხი, ჩვენი აზრით, საინტერესო და აქტუალურია, შესაბამისად კარგი იქნება შემდგომში ასეთი კვლევების ჩატარება და შედეგების სტატისტიკური ანალიზი.

ჩვენი აზრით, ასევე სასურველია, ევროკოდებით ანგარიშებზე გადასვლისას, საიმედოობის კიდევ უფრო გაზრდის მიზნით, ანგარიშებში შენობის სართულიანობიდან გამომდინარე k_2 კოეფიციენტის შესამამისი მნიშვნელობის გათვალისწინება.


ქვემოთ მოცემულია შენობის გაანგარიშების შედეგები პროგრამა: Lira SAPR 2022x64 v1.0-ით.




ნახაზი 19 საანგარიშო მოდელი



